რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა „პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 10 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. **ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.** საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 6 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 6

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

დამწუხრებული მშობლები კოლია ილარიონის ძე ფირცხალაიშვილი, კატუშა ფირცხალაიშვილისა და ძმა ბიჭიკო აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ სადგურ ჩერნოვიცკაში ყვავილით გარდაიცვალა მათი ერთათ ერთი პატარა ქალიშვილი

ბაბულინა (იგივე დაუენდასი)

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ ბანკის ბინაზე, თფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, ტელ. № 5—26. 14 იანვარს, 1918 წ. დღის 12 საათზე დანიშნულია მეორეთ აქციონერთა

არაჩვეულებრივი კრება

შემდეგი საკითხების გასარჩევათ: 1) ძირითადი თანხის გადიდება და 2) განყოფილების გახსნა.

შენიშვნა: ეს კრება, როგორც მეორედ მოწვეული, წესდების § 67 თანახმად კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც არ უნდა დაესწროს.

იმავე შენობაში და იმავე რიცხვს დღის ორ საათზე დანიშნულია ბანკის აქციონერთა პირველი არაჩვეულებრივი კრება, სარევიზიო კომისიის ორი წევრის ასარჩევად.

შენიშვნა: სახელდებულ აქციათა პატრონეთ კრებაზე ხმის უფლება ექნებათ, თუ ისინი აღნიშნული იქნებიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე. (1—1)

ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიისათვის საჭიროა ცოცხალი

ვირთხები და თაგვები

თვითეულ ვირთხაში მომყვანს მიეცემა 20 კაპ. თვითეულ თაგვში კი 10 კ.

მისამართი: ფეოდოსიევის ქ. 3—ტუპიკი, ამიერ კავკასიის მინდვრის თაგვების წინააღმდეგ მებრძოლი სადგური. მიღება შეიძლება დილის 8 საათიდან დღის პირველ საათამდე. (3—1)

სახალხო სახლი

სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრე.

ოთხშაბათს, 10 იანვარს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება:

ცხოვრების გარეშე

პიესა 4 მოქ. პროტოპოპოვისა, თარგ. თ. შველიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ელ. ანქოშვილი, ვ. მარგველაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ. ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ბ. მამაჯანოვი, ნ. ჭანკვატაძე, ქვრივიშვილი.

ადგილების ფასი 1 მ. 20 კ-დან 25 კ-დე. **დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.**

შემდეგი წარმოდგენა 14 იანვარს.

რეჟ. ქ. შათირიშვილი.

1918 წ. იანვრის 10 თფილისში გამოვა ჟურნალი

„ახალი კვალი"

ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ: 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.

ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера Матеріальная ул. № 8. Михаилу Чачуа.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ

„სოციალ-დემოკრატ"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორი თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ: ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ და უკანასკნელ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—2 საათამდის—10 მან.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში შემდეგი მისამართით: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гварамія.

განცხადება.

თფილისის საქონლის სადგურის ხელის მომწერლების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ვისაც ქრისტეშობისთვის გაზეთ „ერთობის" ფული არ გადაგიხდიათ გთხოვთ დაუყონებლივ შემოიტანოთ, ვინც არ შემოიტანს 15 იანვრამდე მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოცხადდება.

პატივისცემით საშა ჩიგოგიძე.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიანი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავადმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

დ. ი. ჟორდანია

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი

ნ. პ. რუხაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისი საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხეილის პრ., № 78; ბინა 2.

კბილის საექიმო

და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა, დაარსებული

გ. ხაიკინა-შინკარევეს

მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., ს., № 76.

ავადმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღით და ღამით,

ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი, ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

კრიტიკული მომენტი

რუსეთის დიდი რევოლიუცია წარმოუდგენელ კრიზისს განიცდის. საერთო მდგომარეობა მეტად კრიტიკულია.

ბოლშევიკების ფრაქციულმა მთავრობამ საზოგადოებრივი ცხოვრება სავსებით მოშალა, უზარ-მაზარ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სრული ანარქია გაბატონდა და უმოწყალოთ დაინგრა ის საერთო ეკონომიური და სოციალური კავშირი, რომელიც მილიონობით მცხოვრებს მთელი საუკუნის განმავლობაში ერთი-მეორესთან აკავშირებდა. ერთი სამრეწველო კუთხე, თუ სამეურნეო მხარე მეორეს ჩამოშორდა და დამყარდა მრავალი ეკონომიური, თითქმის დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეულები.

ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა მეტის-მეტათ სახიფათო და სამწუხაროა, როგორც ეკონომიურ წარმატებისათვის, ისე რევოლიუციის გაღრმავება-განმტკიცებისათვის.

მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება სწორეთ საერთო გადაჯაჭვისაკენ მიისწრაფება და მისი ტენდენცია აქეთკენ მიექანება, მხოლოდ ანტი-მარქსისტული შეხედულების მატარებლები, ანარქისტები, მოტრფიალენი არიან საერთო ცხოვრების დანგრევისა. ისინი წვრილ-წვრილ დამოუკიდებელ კომუნების დაარსებას მოითხოვდენ.

ფაქტიურათ ბოლშევიკების ეკონომიურმა და სოციალურმა პოლიტიკამ, ანუ, სწორეთ რომ ვსთქვათ, მათმა ანარქო-ბლანკისტურმა ტაქტიკამ რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობა დაანგრია. ის პოლიტიკური პარტია, რომელიც ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობების დამოუკიდებლათ სოციალიზმის განხორციელებას აპირებს, ისიც ისეთ ქვეყანაში, სადაც მრავალი კუთხეები კაპიტალისტური განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფებიან.

ეჭვს გარეშეა, ასეთ სახელმწიფოში ლენინ-ტროცკის მიერ გამოცხადებული პროლეტარიატის დიქტატურა თავის გარშემო ხალხის უმრავლესობას ვერ შეიკრებდა და აუცილებლათ ყველგან სოციალურ-ეკონომიური მთლიანობა დაინგრეოდა. მით უმეტეს, რომ ბოლშევიკებმა თავიანთ უტოპიური სოციალიზმის განხორციელება ტერორისა და ხიშტების შეოხებით განიზრახეს.

თავისთავად საგულისხმოა, რომ ასეთი არამკითხე დიქტატორობა თვით პროლეტარიატის უმრავლესობაში სამართლიან წინააღმდეგობას გამოიწვევდა და ყველა კუთხიდან და საწარმოვო ცენტრებიდან მათ საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყებოდა.

მრავალი ფაქტები აშკარათ ამტკიცებენ, რომ ბოლშევიკების დიქტატურას პროლეტარიატისა და რევოლიუციონურ დემოკრატიის უმრავლესობა არ მიემხრო, ყველა კუთხეში ანტი-ბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო.

ბოლშევიკების მიერ გამოწვეული ოქტომბრის სახელმწიფოებრივი გადატრიალება რევოლიუციათ არ ჩაითვლება და მან ფართო მასას უფლების მინიჭების მაგიერ ანარქია და ეკონომიური დეზორგანიზაცია მიაყენა.

დაიშალა ეკონომიური მთლიანობა, სრულიად დაინგრა დემოკრატიული მთლიანი ფრონტი და რაც დრო გადიოდა მთელი რევოლიუცია და ეკონომიური ცხოვრება უფსკრულისაკეს მიექანებოდა.

მცხოვრებთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი, რევოლიუციონური დემოკრატია ასეთ ეკონომიურ და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლას დამფუძნებელ კრებიდან მოელოდა, მაგრამ აქაც ბოლშევიკებმა თავისებური უტიფრობა გამოიჩინეს და იგი გარეკეს.

დამფუძნებელი კრების გარეკასთან ერთად ნიადაგი ეყრება ყოველგვარ ანარქიას და მთელი საზოგადოებრივ ცხოვრების მოწესრიგებას ნიადაგი ეცლება.

აი—ასეთ კრიტიკულ მომენტში ყველაზე მეტათ საჭიროა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ძალა მოიკრიბოს, ყოველგან გაიმართოს მჭიდრო ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც შესძლებენ დამფუძნებელ კრების განმტკიცებას და ამ კრების შეოხებით დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური ნორმები ავტორიტეტული იქნება იმპერიის დიდი უმრავლესობისათვის და მაშასადამე, ბოლო მოეღება იმ არა ჩვეულებრივ ანარქიას, რომელიც გამოიწვია ბოლშევიკების არამკითხე მთავრობამ. ძლიერი დემოკრატიული ერთფეროვანი მთავრობის შექმნა ერთად-ერთი საშუალებაა, რომელიც ხალხს კრიტიკულ მომენტიდან გამოიყვანს და მტკიცე საძირკველს ჩაუყრის დემოკრატიულ მართველობას. ხსნა უკანასკნელ გზაშია და მთელი ჩვენი ძალ-ღონეც აქეთ უნდა იქნეს მიმართული.

მუშათა კლასის განცალკევება

რომაელები მეტად ბრძნულ ხერხს მისდევდენ მტრების დასამარცხებლათ: გათიშე და იბატონე, ამბობდენ.

რასაც რომაელები მტრების მიმართ ჩადიოდენ, იმას ბოლშევიკები პროლეტარიატს უშვებიან. ოქტომბერში დაიწყეს მათ მუშების გათიშვა, მაგრამ თუ პირველ ხანებში ყოყმანობდენ, სიტყვით მაინც მიხვეულ-მოხვეულ დებულებებს აყენებდენ, დღეს ნიღაბი სავსებით ჩამოიხსნეს და მათი მოქმედების გეგმა უბრალო მომაკვდავისთვისაც კი ნათელი გახდა.

ოქტომბერში, როცა დამფუძნებელ კრების არჩევნებამდის სულ ორიოდე კვირის წინ გადატრიალება მოახდინეს და ჯარის შემწეობით ძალა-უფლება ხელთ იგდეს, რას ამბობდენ მაშინ ბოლშევიკები: რესპუბლიკას საფრთხე მოელოდა, დამფუძნებელ კრების ჩაშლას ფიქრობდენ. ჩვენ კი დამფუძნებელ კრების დროზე მოწვევა გვინდაო.

ხუთ იანვარს მოიწვიეს ის, როგორც იქნა. ბოლშევიკურმა „მთავრობამ" კომისართა საბჭომ იმის მაგიერ, რომ დამფუძნებელ კრებისთვის ანგარიში მიეცა თავის მოქმედებაში, პირდაპირ რეზოლიუცია, მოთხოვნა წარუდგინა—გინდა თუ არა ეს მიიღეო. მაგრამ მართალი სთქვა წერეთელმა დამფუძნებელ კრების მუშაობის პირველ დღეს: „თითონ ბოლშევიკებსაც საეჭვოთ მიაჩნიათ მათ მიერ არჩეული გზაო. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მიუხედავათ მათი დამოკიდებულებისა დამფუძნებელ კრებისადმი, ისინი მაინც მიმართავენ ამ კრებას და მოელიანი მისგან მათი ნამოქმედარის დასტურსო".

რას მოითხოვენ ბოლშევიკები დამფუძნებელ კრებისაგან? მათი მოთხოვნა აღნიშნულია იმ დეკლარაციაში, რომელიც მუშათა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის სახელით წაიკითხეს დამფუძნებელ კრებაზე და რომელსაც მაღალფრაზებიანი სახელწოდება აქვს „მშრომელი, გაყვლეფილი ხალხის უფლებათა დეკლარაცია"—„რუსეთი ცხადდება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა რესპუბლიკათ, მთელი ძალა-უფლება როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივათ გადადის ამ საბჭოების ხელში"-ო.

საბჭოთა რესპუბლიკა—აი რას ითხოვს ბოლშევიკური კომისართა საბჭო, რომელმაც იმდენი მოთმინებაც კი ვერ იქონია, რომ სულ რაღაც სამი დღე დაეცადა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისთვის, რომელიც თითონ მან დანიშნა რვა იანვრისათვის.

ცხადია პეტროგრადის ჯარის შემწეობით ბოლშევიკები პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას აპირებენ. ცარიელი, იაფ-ფასიანი დემაგოგობაა მათი განცხადება გლეხთა და სალდათთა საბჭოების რესპუბლიკის შესახებ. განა გლეხების სურვილების გამომხატველი არ არის დამფუძნებელი კრება, რომელიც ოთხ-ფორმულიანი საარჩევნო წესით არის არჩეული. მაშ ვინ აირჩია მისი უმრავლესობა, თუ არა გლეხობამ.

აშკარაა, ბოლშევიკები სადემაგოგიოთ იხსენიებენ გლეხების და სალდათების საბჭოებს, ნამდვილათ კი ისინი პროლეტარიატის დიქტატურას აცხადებენ.

მერე რა არის ამაში ცუდიო, იკითხავენ ადგილობრივი ბოლშევიკები.

იძულებული ვართ ერთხელ კიდევ მოვიგონოთ პარიზის კომუნის ისტორია საფრანგეთში. პარიზის პროლეტარიატი იყო ის, რომ 1871 წ. კომუნა შემოიღო, სოციალიზმი გამოაცხადა. მაგრამ ორი თვის არსებობის შემდეგ ის სისხლის მორევში იქნა ჩახრჩობილი.

პარიზის კომუნის შექმნა გამოიწვია პროლეტარიატის იმ დროინდელმა აუტანელმა მდგომარეობამ. პროლეტარიატი მარტოთ მარტო აჯანყდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და რადგან სოციალისტურ საფრთხის წინააღმდეგ ხალხის უმრავლესობა შეერთდა, ის ადვილათ დაეცა.

პარიზის კომუნამ ორი თვე იარსება. ლენინის „კომუნამ", შეიძლება, ოთხი თვე და მეტიც იარსებოს, რადგან ლენინის პირდაპირ დგას არა ძლიერი ბურჟუაზია, როგორც ეს საფრანგეთში იყო, არამედ პროლეტარიატის დიდი ნაწილი და წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა. ესენი ნებას არავის მისცემენ წინამძღოლთა სიგიჟისთვის ბოლშევიკების მიმყოლი პროლეტარიატი გაჟლიტონ.

მაგრამ ანარქია ძლიერდება, წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა, როცა წესიერების აღდგენის იმედს დაკარგავს, უეჭველათ ჩამოშორდება პროლეტარიატს და მაშინ ის უკანასკნელი სრულიათ განმარტოებული დარჩება. ეს განმარტოება მას პარიზის კომუნის ტრაღიკულ ბედში ჩააგდებს და მუშათა მოძრაობას დაშლის, რევოლიუციას დაასუსტებს.

ბოლშევიკების მოღვაწეობა სამარეს უთხრის მუშათა მოძრაობას, რამდენათ ის იწვევს მის განმარტოებას, მთელი დემოკრატიისაგან გათიშვას. ბოლშევიკები კლავენ დამფუძნებელ კრების იდეიას, რომ განამარტოვონ მუშათა კლასი.

მასწავლებლების გაფიცვის გამო

ანარქია, როგორც ეტყობა საზოგადოების ყველა წრეებში იკიდებს ფეხს. მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნება სუსტდება და მის ალაგს ვიწრო პირადული ინტერესები იჭერს. პოლიტიკურ-ზნეობრივი დაძაბუნება ისე შორს მიდის, რომ იბრძვიან იმ საშუალებებით, რომლითაც თვითმპყრობელობის დროს ვიბრძოდით და მერე ვის წინააღმდეგ? იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დემოკრატიამ წარმოშვა და მისი ნებასურვილების გამომხატველია. როგორც ჩვენი გაზ. დღევანდელი №-დან გაიგებს მკითხველი, კომისარიატს გაფიცვით ემუქრებიან ბათომის რაიონის ფოსტის მოხელენი რაღაც საჩუქრებისთვის, ხოლო ფოთის რაიონის მასწავლებლები გუშინ 9 იანვარს, უკვე გაფიცულან.

ფოსტის მოხელეთა მუქარა ჩვენ არ გვაკვირვებს, რადგან ამ მოხელეთა შტატი, ძველი წყობილების პოლიციის სამინისტროს დროს არის შედგენილი და დემოკრატიის ინტერესებისადმი ლტოლვას მათ მაინცადამაინც ვერ მოვთხოვთ.

ჩვენ გვაკვირვებს და გულწრფელათ გვაღონებს სოფლის მასწავლებლების მიერ გადადგმული დროს შეუფერებელი ნაბიჯი.

ვის წინააღმდეგ გაიფიცენ მასწავლებლები? ვის გამოუცხადეს მათ ბრძოლა? ცხადია, ისინი გაიფიცნენ იმ გლეხების წინააღმდეგ, რომლების შვილები სწავლობენ უმთავრესათ სოფლის სკოლებში.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ცხოვრების გაძვირების გამო დიდი ჯამაგირებია საჭირო. მაგრამ მარტო მასწავლებლებისთვის ხომ არ არის ეს ცხოვრების სიძვირე? თუ კი თფილისის ქალაქის თავი ხუთასი მანეთით კმაყოფილდება, მარატომ არ უნდა დაკმაყოფილდენ პროვინციის მასწავლებლები ოც თუმანზე, მაშინ როდესაც პროვინციაში გაცილებით უფრო იაფია ცხოვრება, ვინემ თფილისში. ეს იმ შემთხვევაში, რომ სახელმძღვანელოთ მივიღოთ ყველა მოქალაქის გათანასწორება ჯილდოს მხრით!

ყოველ შემთხვევაში მასწავლებლებს შეეძლოთ სხვა საშუალებებისთვის მიემართათ. თუ კი მუშები მომრიგებელ კამერებს მიმართვენ ხოლმე, ნუ თუ მასწავლებლებს იმდენი წინდახედულება არ აქვთ, რომ მათაც ამის მსგავსი საშუალებებისთვის მიემართათ და ის დაეცოთ თავისი ინტერესები.

ჩვენ მივმართავთ მასწავლებელთა შეგნებულს დემოკრატიულ ნაწილს და მოვუწოდებთ უკუაგდონ დღევანდელ პირობებში ბრძოლის საშუალება—გაფიცვა და თავის მოქალაქობრივ მოვალეობის ასრულებას შეუდგენ.

პრესა

სოციალისტ-ფედერალისტები ტყვილა კი არ აქებენ ბალშევიკებს. ამ უკანასკნელების ურა-ტაქტიკა მათ სავსებით შეითვისეს. არ. ჯაჯანაშვილი ასე სვამს საკითხს ოსმალეთთან ზავის შესახებ:

„ან სეპარატიული ზავი ოსმალეთთან, ჩამოგდება მშვიდობიანობისა ჩვენს ფრონტზე და ამასთანავე ერთად გამოცხადება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა, რომელიც თავის დამოუკიდებლობას და საზავო პირობებს იარაღით დაიცავს, ან უარყოფა ოსმალეთთან მოლაპარაკებისა. უარყოფა მშვიდობიანობის დამყარებისა და ომის გაგრძელება იმ დრომდე, სანამ რუსეთი თითონ არ გაათავებს ომს". ან სეპირატიული ზავი, ან ბოლომდე ომი—ასეთია ამ ბრძენ პოლიტიკოსების უკანასკნელი სიტყვა! რა ენაღვლებათ პასუხისმგებლობას მოკლებულ უჯარო გენერლებს.

* * *

„ბრძოლის" პამპულა მესვეურები წყალწაღებულებივით ხავსს ებღაუჭებიან და თავიანთ ანარქო-ბლანკისტური ტაქტიკის გასამართლებლად კაუცკისაც კი იმოწმებენ, მაგრამ ამაოთ! ვინც კარლ კაუცკის წერილს—ჩვენს გაზეთში გადმობეჭდილს—გულდასმით წაიკითხავს და წაკითხულის გაგება შეუძლია, მისთვის ცხადზე უცხადესია, რომ კარლ კაუცკი ბალშევიკების მიერ გამოცხადებულ პროლეტარიატის დიქტატურას მეტის-მეტათ საეჭვოთ უყურებს და იგი რუსეთის ობიექტიური და სუბიექტიური პირობების შეუფერებელ ექსპერიმენტათ მიაჩნია. სხვანაირად არც შეიძლებოდა. კარლ კაუცკი სწორუპოვარი მარქსისტია და მისი ყოველი ანალიზი ამა თუ იმ სოციალური მოვლენების დახასიათებაში მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ურთიერთობიდან ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, ეკონომიკიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში კი, რუსეთის ბალშევიკები ეკონომიურ ბაზას მოშორდენ და სავსებით ისინი ანარქო-ბლანკიზმის უტოპიის უფსკრულში გადიჩეხენ. ამას ამბობს და ამტკიცებს კაუცკი და ამასვე ვუკიჟინებს რუსეთის მარქსისტული პრესა ბალშევიკებს. ამ შემთხვევაში მარქსისტები და „ერთობის" ხელმძღვანელები კაუცკისთან ერთად სწორ გზაზე დგენან და ბალშევიკების ავანტიურას ყოველ ფეხის გადადგმაზე ეომებენ. დიახ ბალშევიკები დიდი ხანია ასცდენ მარქსისტულ გზას. მათ ტაქტიკას არ გაიზიარებს არც კაუცკი და არც სხვა რომელიმე სოციალ-დემოკრატი.

დამფუძნებელი კრება

ქვემოდ მოგვყავს ზოგიერთი დამატებითი ცნობები დამფუძნებელ კრების კამათისა.

თარბაზში შემოდის **რასკოლნიკოვი**, რომელიც აქვეყნებს ბალშევიკების სახელით დეკლარაციას, რომლითაც მოითხოვენ საბჭოების მთავრობის და მისი დეკრეტების აღიარებას. დამფუძნებელ კრების უმრავლესობამ ეს უარჰყო. ის ამბობს, რომ დამფუძნებელი კრება შესდგება კერენსკის, აქსენტიევის და ჩერნოვის პარტიიდან. დღევანდელი კონტრ-რევოლიუციონური დამფუძნებელი კრება... (მარჯვნით ყვირილი, მარცხნით მოწონების ხმა) ცდილობს წინააღუდგეს მუშათა და გლეხთა მოძრაობას (მარცხნიდან ხმები: „სამარცხვინოა".

შტეინბერგი მემარცხენე ესერების სახელით აცხადებს, რომ უკეთუ მემარჯვენე ესერებმა გადაჭრილი პასუხი არ მოგვცეს, რომ უკეთუ იგინი არ მიიღებენ საბჭოთა პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც ზავს ეხება, მაშინ დაამტკიცებენ, რომ მათ არ უნდათ მშრომელ ხალხთან ერთად მოქმედება.

მემარჯვენე ესერების სახელით **ელიაშევიჩი** აცხადებს, რომ იგინი მომხრე არიან დემოკრატიული ზავის. თავმჯდომარის წინადადებით ორატორთა სია იხურება. წინადადება შეაქვთ არ დაიშალოს დამფუძნებელი კრებამ მანამდე, სანამ ზავის და მიწის საკითხს არ გადასწყვეტენ. **შტეინბერგი** მოითხოვს დაუყოვნებლივ კენჭი უყარონ ზავის საკითხს. შემდეგ კრებამ კენჭი უყარა დღიურ წესრიგის ორ პროექტს—ერთი ბალშევიკების და მემარცხენე ესერების და მეორე—მემარჯვენე ესერების. უმრავლესობამ მიიღო მემარჯვენე ესერების პროექტი.

ჩრდილო კავკასიის ამბები

კავკავიდან ნოე რამიშვილს ქალაქის გამგეობა *პირდაპირი მავთულით შემდეგს ატყობინებს: დასწვეს სატუსაღო, გაანადგურეს სურსათის საწყობები; სძარცვავენ დღით. ნაძარცვს ურმებით ეზიდებიან სოფლებისკენ. ალაგირის ქარხნის ახლოს, ქარხანა ლაზარეთი და სადგურის ქუჩა ინგუშებმა დაიკავეს. ღამით სადგურის ქუჩაზე სისტემატიურათ სძარცვავდენ ყველა სახლებს. ქალაქის გამგეობამ ზომები მიიღო ქალაქის გვარდიის შესადგენათ, მაგრამ ქალაქს არც იარაღი აქვს და არც პატრონები. ეხლა ქალაქის განაპირათ ბრძოლაა. საჭიროა სასწრაფო დახმარება თქვენი მხრით, გამოგზავნეთ ჯავშნიანი ავტომობილები მცველებით. საქართველოს სამხედრო გზაზე იარაღს ჰყრიან, მიიღეთ ეს მხედველობაში და გამოგზავნილ იარაღის დასაცავათ საჭირო სამხედრო ძალა გამოაყოლეთ თან.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარს. კავკავი მოწყვეტილია და მთიულები ანადგურებენ. ყველას სიცოცხლე საფრთხეშია, არც გარნიზონი გვყავს და თავდაცვის საქმეც არ არის მოწყობილი. მთავრობა არ არის. გთხოვთ ბათუმის გზით ეკატერინოდარს სთხოვოთ დაგვიხსნან, სთხოვეთ ამიერ კავკასიის საბჭოსაც. თუ ვერ დაგვიხსნით ყველანი დავიღუპებით. რაც ცნობები მოგაწოდოთ დაუყოვნებლივ გადასცეთ დანიშნულებისამებრ. შეგვატყობინეთ გვიშველით თუ ვერა, ან როგორ.

ტელეგრაფის გამგე **პანოვი.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის ამხანაგის შეკითხვაზე, თუ რა ნიადაგზე მოხდა შეტაკება, კავკავიდან პირდაპირი მავთულით უპასუხეს, რომ შეტაკებას არავითარი პოლიტიკური ხასიათი არა აქვს, გარდა ძარცვა-გლეჯის და შურისძიების ნიადაგზე. მთავრობა არ არის და ამან ხელი შეუწყო ამ საერთო უბედურებას.

ეხლა კრება აქვთ მთიულეთის მთავრობას, ინგუშების და ოსების ნაციონალური საბჭოების და ქალაქის წარმომადგენლებს. უნდა გადასწყვიტონ დაცვის საქმე, მაგრამ არც ერთ ორგანიზაციას ძალა არა ჰყავს. გუშინ მთელი დღე და ღამე ინგუშები და ოსები იბრძოდენ ქუჩებში. ალაგირის ქარხანა და ახლომახლო ადგილები ინგუშების პოლკმა დაიჭირა. ხალხი თავზარდაცემულია. დიდ უბედურებას ელიან.

კავკასიის ფრონტი

როგორც გენ. შატილოვი ატყობინებს საარმიო ცენტრს 4 იანვრის თარიღით, კავკასიის ფრონტზე დროებით შერიგების პირობები ოსმალებს არ დაურღვევიათ.

6 იანვრის თარიღით იგივე შატილოვი შემდეგს იტყობინება: 1 იანვარს ოსმალებთან სროლის დროს ფოლოსთან სამი ტყვიით დაიჭრა საეტაპო კომენდანტი პორუჩიკი სალნიკოვი, დაიჭრენ აგრეთვე საკომენდანტოს საქმის მწარმოებელი ანისიმოვი, სამი ჯარისკაცი, საქმის მწარმოებლის და გადამწერის ცოლები, 2 იანვარს მე-123 საარტილერიო დივიზიონის მზვერავებმა, რიცხვით 28 კაცმა ცხენებით გაიარეს შავი ზღვის პირის გზა ელლეუდან პლატანამდე. შარლი-ბაზართან და ფოლთან ჩვენს მზვერავებს სროლა აუტეხეს ოსმალებმა, რომლებიც გზებზე და სახლებში იყვენ ჩასაფრებულნი. სროლის დროს დაიჭრა მე-123 საარტილერიო დივიზიონის ადიუტანტი პორუჩიკი ტრუბნიკოვი, რამდენიმე ჯარისკაცი და ცხენი. მზვერავები ამბობენ, რომ ოსმალები გამოწყობილნი არიან „ხაკი" ფერის ტანისამოსში, აქვთ ტყავის ჩანთები, ტყვიის მასრები ტყვიებისთვის და შეიარაღებულნი არიან „მაღაზიის" სისტემის თოფებით.

საზავო მოლაპარაკება

საზავო მოლაპარაკების საქმე ბრესტ-ლიტოვსკში კარგათ ვერ მიდის. დელეგაციის წევრმა კარახანმა აცნობა სახალხო კომისართა საბჭოს, რომ რუსეთის დელეგაციას აზრათ აქვს მოლაპარაკება განაგრძოს ბრესტში მიუხედავათ იმისა, შეთანხმების სახელმწიფონი შემოგვიერთდებიან ამ მოლაპარაკებაში თუ არაო. გერმანიას კითხვა ასე დაუყენებია: ან ბრესტში იყოს მოლაპარაკება, ან სრულიად შესწყდეს ყოველგვარი მოლაპარაკებაო. ჩვენ აუცილებლათ ვსცნობთ განვაცხადოთ მთელი ქვეყნის და გერმანიის ხალხის წინაშე, რომ იძულებულნი ვართ დავსთანხმდეთ ასეთ წინადადებაზე და ამასთანავე, თავს ვალად ვრაცხთ ყველა ქვეყნების ერებისა და ჯარების წინაშე განვაცხადოთ, რომ მივიღებთ ყოველივე ძალ-ღონეს, რომ სისწორით იქნას გაგებული—შესაძლებელია თუ არა ამ ჟამად გერმანიის კოალიციასთან ისეთი ზავი, რომ ძალადობა არ იქნას ნახმარი პოლონელებზე, ლიტველებზე და სხვა ერებზეო, იტყობინება კარახანი.

სახალხო კომისართა საბჭოში უკმაყოფილებას აცხადებენ თურმე იმის გამო, რომ რუსეთის დელეგაციის სათავეში ღირსეული პირები არ არიან. როგორც ამბობენ, ბრესტში თვით ლენინი გაემგზავრება. იოფფე წარმომადგენლობას თავს დაანებებს და მის ალაგას რადეკს დანიშნავენ. დელეგაციის ოფიციალური თავმჯდომარე ტროცკი რუსეთში დაბრუნდება. სმოლნი ინსტიტუტში აღნიშნავენ, რომ არა თუ გერმანიას, არამედ—ავსტრია - ოსმალეთ-ბოლგარიასაც პირველ ხარისხოვანი დიპლომატები გამოუგზავნიათ ბრესტში. ამ გარემოებამ აიძულა კომისართა საბჭო მოახდინოს რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში თვალსაჩინო ცვლილება.

ახალი ამბები

კარლო ჩხეიძე გუშინ ქუთაისიდან თფილისს ჩამოვიდა. შემოიარა ჩვენს რედაქციაში. მუსაიფის დროს ზოგიერთების შეკითხვაზე—თუ როდის აპირებს პეტროგრადისაკენ გამგზავრებას, მან გადაჭრით ვერა სთქვა რა.

◆ **გაფიცვის მოლოდინში.** ბათუმის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებმა თხოვნით მიმართეს ამიერ კავკასიის კომისარიატს მიიღოს ზომები მათი ეკონომიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაფიცვა გამოვაცხადოთო.

◆ დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ფილიალური განყოფილება 9 იანვრიდან გაფიცვას აცხადებს ეკონომიურ ნიადაგზე ყველა პირველ დაწყებითი და სახელოსნო სასწავლებლებში.

◆ **მდგომარეობა დარიალის ხეობაში.** სოფ. კობიდან შემდეგს იტყობინებიან: დარიალის ხეობა ინგუშებმა დაიკავეს. ისინი ძარცვავენ და აწიოკებენ სოფლებს, ცდილობენ ხიდის აყრას. საქართველოს სამხედრო გზა საფრთხეშია. მახლობელ სოფლებში შიმშილობაა. მოითხოვენ დახმარებას.

◆ **კავკავის ქართველების მდგომარეობა.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს კავკავიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქართველების ახალშენს საშინელი საფრთხე მოელის ინგუშებთან ოსებისა და კაზაკების შეტაკების გამო. საჭიროა ქართველებს მიეცეს საშუალება დაჩქარებით წამოვიდენ საბარგო ავტომობილებით სოფ. ყაზბეგამდე მაინც. უნდა ეთხოვოს მთიულთა მთავრობას და ოსებისა და ინგუშების ეროვნულ საბჭოებს ხელი არ შეუშალონ ქართველების წამოსვლას და მიიღონ ზომები მათი სიცოცხლის და ქონების დასაცავათ. საჭიროა აგრეთვე გამოიგზავნოს საბარგო ავტომობილები თფილისიდანო.

◆ **სურსათი.** 6, 7 და 8 იანვარს თფილისში შემოიტანეს 5 ვაგონი ხორბალი, 7 ყუთი კვერცხი, 3 ვაგონი საქონლის საკვები მასალა და 1 ვაგონი ლობიო.

◆ **ეროვნობის გარშემო.** 8 იანვარს სხდომაზე ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა დროებითი დებულება ამიერ-კავკასიის საეროვნო დაწესებულებათა შესახებ. ქალაქ ბაქოისა და ბაქოს მაზრის ტერიტორიალურ გამიჯვნის საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დაადგინეს საკითხის ეს ნაწილი ღიათ დასტოვონ მისი კანონმდებლობითი წესით გადაჭრამდე. ამასთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარს დაევალა ორი კვირის განმავლობაში გაიგოს ბაქოს ყველა ორგანიზაციების აზრი ამ საკითხის შესახებ.

◆ **ბაქოს რკინის გზის** საგანგებო კომისიამ, რომელშიაც შედიან ყველა დარგის მოსამსახურეთა და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, კვლავ აღადგინა მუშაობა სადგ. ქელანში, ევლახში, კიუროკ-ჩაიში და დალმამედინში. ევლახში გაიხსნა სასურსათო კომიტეტი, რომელიც მუშაობს მუსულმანებთან შეთანხმებით. გუბერნიის და მაზრის კომისარებმა პირობა დასდვეს, რომ დაიცავენ მოსამსახურეების სიცოცხლესა და ქონებას.

◆ **შრომის სამინისტროს** კომისართან 9 იანვარს მოხდება თათბირი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ გამოცემულ დეკრეტის გამო.

◆ **ქართველ მუსულმანთა კომიტეტმა** შემდეგი ადრესი გამოუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარს ამხ. აკაკი ჩხენკელს. „დიდათ პატივცემულო აკაკი ივანეს ძევ! უსაზღვრო და დაუფასებელია სამუსულმანო საქართველოს წინაშე თქვენი შრომა და სამსახური, რომელსაც თქვენ ეწევოდით და ეწევით ხალხთა ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტის მთელი დროის განმავლობაში. რეაქციის შავბნელ დღეებში, როცა ერთის მხრით თავს დაგვატყდა გულის შემზარავი საშინელება და უბედურება, მეორეს მხრით —მეფის ჯალათების მიერ მოწყობილ აწიოკებულ მცხოვრებთა გასამართლების მთელ რიგ პროცესების დროს მძლავრათ გაისმა თქვენი ხმა სახელმწიფო დუმაში ჩვენ დასაცავათ და ააფრიალეთ რა მაღლა ჩვენი დაცვის დროშა, გამოუშურეთ ჩვენსკენ დასახმარებლათ და თქვენი შრომის ნაყოფი ცნობილია დღეს მთელ მხარეში. აქ სახელმწიფოს გახრწნისა და ანარქიის შემაძრწუნებელ დღეებში, როცა ბნელ ძალებმა კვლავ გაილაშქრეს ოლქის არჩეულებისა და მის დაწესებულებათა ავტორიტეტის წინააღმდეგ, თქვენ კვლავ გამოცხადდით დახმარების აღმოსაჩენათ. და ახლაც, როცა რუსეთში ჩქარის ტემპით სწარმოებს ნაციონალური მუშაობა, თქვენ აქაც არ დაგვტოვეთ უყურადღებოთ და აიღეთ ხელში ჩვენი ცხოვრებისა და სამშობლოს მოწყობის საქმე. მადლობის გრძნობით ავსილია ჩვენი გული, მაგრამ ამ გრძნობების გამოხატვა ამ წერილში ყოვლად შეუძლებელია. სამუსულმანო საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ გიცნობდენ თქვენ, დიდათ პატივცემულო აკაკი ივანეს ძევ, სადაც მადლობის გრძნობით არ გიგონებდენ თქვენ. სამუსულმანო საქართველოს მომავალ ისტორიაში კი თქვენ დაგეთმობათ ღირსეული ადგილი.

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ზ. აბაშიძე, მდივანი ქიქავა.

◆ **წითელ გვარდიელთა შორის.** 30 დეკემბერს ტრამვაის პარკში გაიმართა წითელ-გვარდიელების კრება. კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა მთელი თავის ძალ-ღონით ეცადონ ქალაქში რევოლიუციონურ წეს-რიგის დაცვას.

◆ **კომისარის დანიშვნა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა თფილისის ტელეფონის სადგურის კომისრად დანიშნა მ. გერმანოვიჩი, რომელიც გუშინ უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ **რევოლიუციონურ რაზმში.** ვინაიდან ამ ბოლო დროს თფილისში ბევრი ამხანაგები ჩამოდიან გურიიდან რევოლიუციონურ რაზმში ჩასაწერათ—თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რევოლიუციონურ რაზმის საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს მათ საყურადღებოთ, რომ ის ამხანაგები, რომელნიც წინდაწინ არ არიან ჩაწერილი ადგილობრივ „იაჩეიკებში" და მათგან არ არიან გამოგზავნილი, ნუ ჩამოვლენ, ვინაიდან რაზმში იმათ არ მიიღებენ.

რაზმის კომიტეტი.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, 10 იანვარს, რეალური სასწავლებლის დარბაზში სცენის მოყვარე ქართველ მოწაფეთა წრის „არნონ-"ის მიერ წარმოდგენილი იქნება: შ. დადიანის 3 მოქ. პიესა „**შენი ჭირიმე!**" და კ. ყიფიანის 1 მოქ. ვოდევილი „**დატრიალდა ჯარა**". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **ვიპოვეთ** ნასყიდობის ქაღალდი ნიკოლოზ ნიკოსძე წულუკიძის სახელზე. პატრონს შეუძლია მოიკითხოს გურულ რაზმის კომიტეტში.

◆ **ქართულ მხედართა ყრილობის რეზოლიუცია.** „მოისმინა რა რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატების ყრილობამ მოხსენება მიწის საკითხის შესახებ, დაადგინა დღესვე გამოიცეს მიწის შესახებ დეკრეტი, რომ ჩამოერთვას მიწები სრულიათ უსასყიდლოთ ყოფილ მეფეს, მის გვარეულობას, ხაზინას, ეკლესია-მონასტრებს, მსხვილ მემამულეებს და საერთოდ ყველა იმ დაწესებულებებსა და პირებს, რომელთაც მიწა ათასნაირი უსამართლობით ქონდათ დღემდის მითვისებული და გადაეცეს მიწის მუშა ხალხს, და მისი მოწესრიგება დღეს დაევალოს მიწის კომიტეტებს.

კრებები და მიტინგები.

დღეს თეთრ დარბაზში, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მუშათა ცენტრის კრება.

— დღეს, იანვრის 10-ს საღამოს [illegible] საათზე ვაჟების მეექვსე გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3) დანიშნულია თფილისის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ამხანაგებს დაბეჯითებით ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მესამე შემნახველ - გამსესხებელ ამხანაგობაში (ვერის დაღმართი) დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის წევრთა კრება. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმის იდეალები*)

I

მსოფლიო ომმა, რომელმაც კაცობრიობის ცხოვრება ძირიან-ფესვიანათ შეანძრია, ნათლათ გამოაჩინა **ახალი საფეხური** თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებაში.

სამრეწველო კაპიტალის ნაცვლათ ფინანსიურ კაპიტალის გაბატონება, და მასთან ერთათ მსოფლიო ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მისწრაფებათა ძირითადი შეცვლა—აი მთავარი დამახასიათებელი თვისება დღევანდელ ეპოხის.

მსოფლიო ომს ეს ცვლილება არ გამოუწვევია, პირიქით, ის თვითონ ამ ცვლილების პირმშო შვილია. მაგრამ მხოლოდ საერთაშორისო შეტაკებამ მოფინა სრული ნათელი თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითად მხარეებს და მათ სწრაფ განვითარებას ფართო გზა გაუხსნა.

კაპიტალიზმის წინანდელ საფეხურს ორი მთავარი ლიბერალური მცნება ახასიათებდა: თავისუფალი ვაჭრობა და ეროვნული თვითგამორკვევა. ეს ორი მცნება წამოაყენა სამრეწველო ბურჟუაზიამ იმ დროს, როდესაც საერთაშორისო ბაზარს ინგლისი უმეტოქეოთ ეპატრონებოდა, ხოლო ევროპის კონტინენტზე უმთავრესი ერები მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმებათ ყალიბდებოდენ.

ყველაზე ადრე და ყველაზე უფრო სავსებით ორივე ეს მცნება განხორციელდა ინგლისში, რადგან გეოგრაფიული მდებარეობა ინგლისს გარეშე მტრებისგან მიუწვდომელათ ხდიდა და თან სავაჭრო გზებს მთელ მსოფლიოსკენ უხსნიდა. ეროვნული თვითგამორკვევა განახორციელა მან ფეოდალურ დაქსაქსვის ძლევით, მთლიან ეროვნულ სახელმწიფოს შექმნით. ამით ყველა დანარჩენ სახელმწიფოებზე დაწინაურებულმა, მან მშვიდობიან ეკონომიურ მეტოქეობის დროშა თამამათ ააფრიალა.

მთელ მე-XIX საუკუნის განმავლობაში ინგლისი ბურჟუაზიულ წყობილების იდეალურ გამოხატულებათ ითვლებოდა,—ისეთ ქვეყნათ, რომელიც მთელ კაპიტალიზმის „მომავალს" ასურათებდა. ინგლისის ლიბერალურ ბურჟ. პოლიტიკა მთელ მსოფლიო ბურჟუაზიის სახელმძღვანელო შკოლათ ითვლებოდა. მართალია, ევროპის კონტინენტზე,—საფრანგეთში და ყველა სხვა ქვეყნებში,—თავისუფალი ვაჭრობა ბურჟუაზიამ თავიდანვე ვერ განახორციელა. დაწინაურებულ ინგლისის მეტოქეობიდან ის შინაურ ბაზარზე ბაჟებით თავს იცავდა. მაგრამ ეს საბაჟო პოლიტიკა მაშინ მხოლოდ დროებით ზომათ ითვლებოდა. „ჩვენი ბაჟების დანიშნულება სამშობლო კაპიტალის **აღზრდა** არისო,—ამბობდა ყველა ამ ქვეყნის ბურჟუაზია.—როგორც კი ჩვენი ჩვილი, განუვითარებელი კაპიტალი მომაგრდება და საკუთარ ფეხზე დადგება, საჭირო გახდება ბაჟების ახსნა და კაპიტალის თავისუფალი ვითარება ინგლისის მსგავსათ"-ო. იმ დროს ყველა ამ ქვეყნების ახლათ აღორძინებულ ბურჟუაზიას შინაურ ბაზარზე ფართო სარბიელი უჩნდა. ყოველგან თავის მთავარ მიზნათ ის ისახავდა შინაურ ბაზრის განთავისუფლებას ფეოდალურ შევიწროვებისაგან და სადაც საჭირო იყო, გარეშე მჩაგვრელებისაგანაც. საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში—ყოველგან ახლად აღორძინებული ბურჟუაზია განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში უდგა, ყოველგან ეროვნულ გაერთიანებას და განახლებას გზას უკვალავდა.

ამ პროცესის დასრულებით, ევროპის უმთავრეს ერების გაერთიანებით და განთავისუფლებით იწყება ახალი ხანა თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებაში.

რაკი საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში კაპიტალმა შინაურ ბაზარზე ფართო ასპარეზი მოიპოვა, საწარმოო ძალებს აქ სწრაფი განვითარება მიეცა და ამ ქვეყნების მრეწველობა მალე იმდენათ მომაგრდა, რომ ინგლისის მრეწველობასთან მეტოქეობა შესძლო. ეს ჩქარი ზრდა მით უფრო გაადვილებული იყო, რომ ინგლისის განვითარებულ ტეხნიკის შეთვისება ამ ქვეყნების ბურჟუაზიას კაპიტალიზმის პირველ საფეხურებზე ნელ-ნელ სვლას თავიდან აშორებდა. ეროვნულ სახელმწიფოებრივი ფარგლები აქაც განვითარებულ კაპიტალისთვის ვიწრო შეიქნა. დაიწყო და თანდათან გამწვავდა მეტოქეობა საერთაშორისო ბაზრებზე.

სწორეთ ამ ხანიდან ყველა დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სამრეწველო კაპიტალის ბატონობას თანდათან ძირი ეთხრება და ეს ბატონობა ფინანსიურ კაპიტალის ხელში გადადის.

საერთაშორისო მეტოქეობა სხვილ კაპიტალის მოთხოვნილებას ამწვავებს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საუკეთესო იარაღათ ხდება ბანკები. თვითეულ ქვეყნის დიდ-ძალი კაპიტალები, მრავალ წყაროებიდან ბანკების მმართველების ხელში თავ-მოყრილი, წარმოებას სათავეში უდგება. ეს არის **საფინანსო კაპიტალი.**

საფინანსო კაპიტალმა თავის მთავარ მიზნათ გარეშე ბაზრების დაპყრობა დაისახა და ამით მთელი მსოფლიო ბურჟუაზია ინგლისის ძველ ლიბერალიზმის პოზიციებს ჩამოაშორა. „მფარველობის" და ძალდატანების მეთოდები ეკონომიურ პოლიტიკის მთავარ ღერძათ ხდება. წინათ თუ საბაჟო პოლიტიკას შინაურ კაპიტალის „აღმზრდელ" საშუალებათ თვლიდენ, ახლა პროტექციონიზმი გარეშე ბაზრების დასაპყრობ იარაღათ ხდება. საბაჟო კედლებით გარშემორტყმულ საზღვრებში საფინანსო კაპიტალი თავის ნაწარმოებს ერთი ორ ფასათ ასაღებს იმ მიზნით, რომ იგივ საქონელი თუნდ საზარალო ფასებში გარეშე ბაზარზე გაიტანოს და იქ მეტოქეები სამუდამოთ ჩამოიშოროს. ხოლო სადაც ეს საშუალება არ სჭრის, იქ ის ხმლის ძალით ცდილობს ბაზრების დაპყრობას.

ასეთ საგარეო პოლიტიკას საფინანსო კაპიტალი შინაურ წყობილებაში მკვიდრ საფუძველს უყრის. ბურჟუაზიის და თავ.-აზნაურობის შორის ის ძველ შეურიგებლობას სპობს. მსხვილი ბანკები თავისკენ იზიდავს როგორც მრეწველთა თანხებს, ისე მემამულეთა შემოსავალს, რენტას, და ორივე ამ კლასს შინაურ და გარეშე ბაზრების უმეტოქო ყვლეფაში ერთნაირათ დაინტერესებულათ ხდიან.

მსოფლიო ბურჟუაზიის ასეთი ძირითადი გარდაქმნა არის მთავარი დამახასიათებელი თვისება ჩვენი ეპოქის. ეს არის დღევანდელ საერთაშორისო კრიზისის მამოძრავებელი ძალა.

დასავლეთ დემოკრატიულ სახელმწიფოების და გერმანიის კონფლიქტი ბევრმა პუბლიცისტმა ახსნა, როგორც „ახალის" და „ძველის" პოლიტიკური წყობილების შეტაკება. მათ ვერ შეამჩნიეს, რომ დღევანდელ გერმანიის „ჩამორჩენილი" წყობილება სწორეთ იმ ახალ იდეალების განხორციელება გამოდგა, საითკენაც მიილტვის ჩვენს დროს მთელი მსოფლიო კაპიტალიზმი.

საფინანსო კაპიტალის გაბატონების ხანაში გერმანიის ბურჟუაზიისთვის მისი ქვეყნის შედარებითი ჩამორჩენილობა ხელსაყრელი გამოდგა. რადგან ძლიერი მრეწველი კაპიტალისტები აქ არ მოიპოვებოდენ, ფინანსიურმა კაპიტალმა აქ უფრო ადვილათ სძლია განცალკევებულ კაპიტალისტთა წინააღმდეგობას და ბურჟუაზიის საერთო კაპიტალს ის უფრო ადვილათ ჩაუდგა სათავეში. ხოლო გერმანიის წყობილებაში დარჩენილი ფეოდალიზმის ნაშთები ფინანსიურ კაპიტალის მოთხოვნილებებთან ძალიან შეფერებული გამოდგა.

თანამეოროვე კაპიტალიზმის შესანიშნავმა მკვლევარმა, **რუდოლფ ჰილფერდინგმა**, თავის კლასიკურ შრომაში („საფინანსო კაპიტალი") ამ საკითხის ღრმა ანალიზი მოგვცა. მან პირველმა გამოარკვია, თუ როგორ მოხდა, რომ კაპიტალიზმის დღევანდელ, ფინანსიურ ხანაში გერმანიამ სწორეთ ის ადგილი დაიკავა კაპიტალისტურ ქვეყნების რიგში, რომელიც წინანდელ, სამრეწველო ხანაში ინგლისს ეკავა.

აგრესიული გარეშე პოლიტიკა, საბაჟო პოლიტიკის უკიდურესი ფორმები, ბურჟუაზიის და თავ.-აზნაურობის მჭიდრო კავშირი, ყველაფერი ეს, რაც წინათ „გადასულ დროის ნაშთებათ" ითვლებოდა, ნამდვილათ განვითარებულ კაპიტალიზმის უკანასკნელ სიტყვათ გამოდგა. ძველ ისტორიულ კომპრომისს, გერმანიის ბურჟუაზიასა და თავ.-აზნაურობის შორის მომხდარს, საფინასსო კაპიტალმა ახალი საძირკველი გამოუჭედა, ახალი სული ჩაბერა, და ამის გვარათ აყალიბებს ის მთელ თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმს.

II

დღევანდელ ომის მთელი წინასწარი ხანა ფინანსიურ კაპიტალის ძლევა-მოსილ გავლენით იყო აღნიშნული. ამ კვალზე უსწორდებოდენ გერმანიას დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები. სოციალური რეფორმები, რომლებსაც გაბატონებულ კლასებს მუშა კლასი თანდათან ხელიდან გლეჯდა, ბურჟუაზიის იმპერიალისტურ გადაგვარებას ვერ აფერხებდა ვერც ინგლისში, ვერც საფრანგეთში, როგორც ვერ აფერხებდა ამ ტენდენციებს თვით გერმანიაში. პირიქით, ყველა ამ ქვეყნებში ძალაუნებურ „დათმობას" ზედ ერთვოდა კაპიტალისტთა ორგანიზაციების დარაზმვა და სასტიკი პოლიტიკა მუშების წინააღმდეგ.

ხალხის წარმომადგენლობის გავლენის შესუსტება, აღმასრულებელ ძალის გაძლიერება, საგარეო პოლიტიკის დაყენება დემოკრატიის კონტროლს გარეშე—ყველა ეს ანტი-დემოკრატიულ ვითარების ნიშნები ცხადათ თავს იჩენდა თვით პარლამენტარიზმის სამშობლოში—ინგლისში. ბურჟუაზიის მთავარი გავლენიანი წრეები, რკინის წარმოების წარმომადგენელნი, კონსერვატორ-უნიონისტების ბანაკში გადადიოდენ. მიწათმფლობელთა კლასთან ერთად „მძიმე ინდუსტრიაი" თავისუფალ ვაჭრობაზე იერიშით მიდიოდა. მხოლოდ მუშათა კლასის ენერგიულმა დახმარებამ და ირლანდიელ „ჰომრულიორების" დროებითმა კავშირმა საშუალება მისცა დასუსტებულ ლიბერალიზმს „სატარიფო რეფორმა", ე. ი. ბაჟების შემოღება, დღიურ წესრიგიდან ჩამოეხსნა.

მაგრამ ამ დანაკლისს—ბაჟების უქონლობას — ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია სხვა გზით ინაზღაურებდა ზღვებზე ბატონობით და კოლონიალურ მითვისების პოლიტიკის უდიდეს განვითარებით. იმ გამწვავებულ მილიტარისტულ შეჯიბრებაში, რომელიც ო წინ დიდ სახელმწიფოთა შორის ა ბობდა, ინგლისმა ბოლომდის შედა ბითი პირველობა შეინარჩუნა: არც გ მანიაში, არც ერთ სხვა სახელმწიფო სულზე იმდენი სამხედრო ხარჯი არ სებობდა, როგორც ინგლისში. კო ნიალურ ადგილების მითვისებაშიაც ლისს მსოფლიო პირველობა შ მე-XIX საუკუნის მიწურულში და მ საუკუნის დასაწყისში აზიაში, აფრ და ავსტრალიაში მან 3 ნახევარი ონი კილომეტრი მიწა მიისაკუთრ მილიონზე მეტი მცხოვრებით. თვალავში ნაჩვენები არ არის ბი, რომელიც მან თავის „ სფეროში" გამოაცხადა, როგორ ხრეთი სპარსეთი და სხვ. ასე იმ ბურჟუაზიის პოლიტიკა,

---

*) ეს წერილი დაწერილია რევოლიუციამდე. **რედ.**

— ხუთშაბათს, 11 იანვარს, საღამოს 6 საათზე მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3) დანიშნულია პირველი სამილიციო უბნის სოციალ-დემოკ. პარტიული წევრთა საერთო კრება. განსახილველია მცირე კოლექტივის სამოქმედო პროგრამა.

— 11 იანვარს, საღამოს 4 ს., ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველ რაიონის საერთო პარტიული კრება. დღის წესრიგი: 1) კოლექტივის მოქმედების ანგარიში; 2) რეორგანიზაცია და თფილისის კომიტეტისა და რაიონულ კოლექტივის წევრთა არჩევნები.

— დღეს, საღამოს 4 საათზე, მეოთხე სავაჟო გიმნაზიის შენობაში (ბელგიის ქ. № 4) დანიშნულია უმუშევარ ფარმაცევტთა კრება.

პროვინციის ქრონიკა

ქ. ოზურგეთი. გურიის სამხედრო—რევოლიუციონური შტაბი, რომელიც შეადგინა გურიის სოციალდემოკრატიულმა კომიტეტმა ამ რამდენიმე დღის წინად, ენერგიულათ მოქმედებს. მან შეადგინა 200 პარტიული კაცისაგან შემდგარი წითელი გვარდია და გაუგზავნა თბილისს; ის ადგენს დაჩქარებით გურიაში წითელ-გვარდიას, 2000 კაცისაგან შემდგარს, რომელშიდაც იკრიბებიან მოწინავე წევრები ს-.დემ. პარტიისა; ამავე შტაბმა მიაწოდა ამიერკავკასიის რკინისგზას 60 კაცი რკინისგზის მილიციისათვის. ის კრებს და აწვდის არტილერისტებსა და აგრეთვე უბრალო ჯარის-კაცებს ბათუმს და სხვა ადგილებს. შტაბი შესდგება 9 წევრისაგან.

— სასურსათო კრიზისი თან და თან მწვავდება. არ იშოვება სიმინდი, ფუთი 25-30 მ. ფასობს ბაზარზე.

ქ. სამტრედია. პირველ იანვარს შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი სამტრედიის კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. მიერ მოწვეული, რომელმაც მოისმინა ამხ. რ. ჩიხლაძის მოხსენება მიმდინარე მომენტისა და დამფუძნებელ კრების გარეკვის შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ერთხმათ: „მრავალრიცხოვანი მიტინგი მოწვეული პირველ იანვარს ქ. სამტრედიაში სასტიკ პროტესტს აცხადებს სახალხო კომისარების დამფუძნებელ კრების თათბირის გარეკის და ზოგიერთი წევრების დაპატიმრების გამო და მოუწოდებს რევოლიუციონურ დემოკრატიას ყოველი ღონე იხმაროს დაიცვას მთელი რუსეთის ბატონ-პატრონი დამფ. კრება ყოველივე თავდასხმისაგან, საიდანაც არ უნდა იყოს იგი.“

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გამგე აცხადებს, რომ მისდამი რწმუნებულ სასწავლებელში თავისუფალია მასწავლებლის ორი ადგილი: ერთი საზოგადო საგნებისა და მეორეც—სამეურნეოსი; მასწავლებლებს მიეცემათ ბინა, შეშა, ნავთი და ჯამაგირი არა ნაკლებ 210 მანეთისა. მისამართი: მცხეთა, წინამძღვარიანთ-კარის სკოლა.

ჩოხატაური. სოფლის მასწავლებლის შრომას სხვა დროშიაც არ ქონია დაფასება. მასწავლებლები უნუგეშო მდგომარეობაში იყვენ ნივთიერად მუდამ. დღეს, ამ საზღაპრო სიძვირის დროს ლაპარაკიც მეტია, თუ რა დღეს უნდა განიცდიდენ მასწავლებლები. რევოლიუც. პირველ ხანებშიაც მასწავლებლებს ქონდათ კრება, მაგრამ გაფიცვა, როგორც რევოლიუციის ღალატი იმ დროს უმრავლესობამ დაგმო. რევოლიუცია დღეს მეტ განსაცდელშია და მაშინ თუ გაფიცვა ღალატი იყო, დღესაც ეს იქნება, ამას არამც თუ მასწავლებელი, უსწავლელიც კარგათ გრძნობს.

ყოველ შემთხვევაში მასწავლებლებს დიდი დაფიქრება სჭირია ამ საკითხზე, რომ არა სასურველი როლი თავიდან მოიშორონ.—მოწინავე ელემენტებმა კი უნდა გამოიჩინონ იმდენი პოლიტიკური სიმწიფე, რომ უპარტიო ან მარტის სოციალისტებმა არ აიყოლიონ.

სოფ. ჯვარცხმა (გურია). ეს სოფელი კულტურულად არ ჩამორჩება გურიის სხვა მოწინავე სოფლებს, მაგრამ, სამწუხაროთ ბევრ დაწესებულებაში საქმე ცუდ ნიადაგზე არის დაყენებული. აქ დიდი ხანია არსებობს ორ-კლასიანი სკოლა, რომელშიაც წინათ სწავლის საქმე შეძლებისდა გვარათ კარგათ მადიოდა, შემდეგ კი ზოგიერთი მასწავლებელი სხვაგან გადაიყვანეს. დარჩა სკოლა ორი თუ სამი მასწავლებლის ხელში. ერთი მასწავლებელი იყო მანთიძე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგად. წინაშე, იგი უკვე გარდაიცვალა. ამის შემდეგ სკოლა ნამდვილ ღვთის ანაბარა დარჩა. როგორ შეუძლია ორ მასწავლებელს, 200 მოწაფეს ასწავლოს. სკოლაში სხვა უწესობასაც აქვს ადგილი, ეს კი შეუწყნარებელია. დროა ამას ყურადღება მიაქციოს საზოგ. კომიტეტმა, რომ მოწაფეებს ტყვილა დრო არ დაეკარგოთ.

აქვე არსებობს უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. იქ საქმე კიდევ უფრო ცუდათაა დაყენებული. გამგეობა დიდ დაუდევრობას იჩენს. გამოწერილია ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთები, მარა სამკითხველოში გაზეთს ვერასოდეს ვერ ნახავთ და თუ როგორმე ჩაგივარდა ხელში გაზეთი, ისიც ძველი, ერთი კვირის აღმოჩნდება. გაზეთები კი ჩოხატაურში ყოველ დღე მოდის. საჭიროა ამასაც მიაქციონ ყურადღება.

სამ წელზე მეტია, აქ დაარსეს კოოპერატიული დუქანი „შეღავათი“, რომელსაც ოთხასამდე წევრი ყავს. საქმე ჯერჯერობით კარგათ მიდის. ზოგი ვაჭბატონები ავრცელებენ ცუდ ხმებს კოოპერატივის წინააღმდეგ, მარა იმათ პროვოკაციულ სიტყვებს გასავალი არ აქვს შეგნებულ ხალხში.

ეწერი (ასკანა, გურია). ამ სოფელში გაიხსნა კოოპერატიული დუქანი „შუამავალი“ 28 ნოემბერს 1917 წელს. წლის ბოლოს სარევიზიო კომისიამ გააკეთა რევიზია და აღმოჩნდა შემდეგი: თვენახევარი წარმოების შემდეგ გადაბრუნებულა საქონელი 5000 მანეთისა. საქონელი გაყიდულია 12 პროც. ზედ-დადებით, ყოველივე ანგარიშების გასწორების შემდეგ დუქანმა დასტოვა წმინდა მოგება 315 მან. და 49 კაპ., რომლისაგან კრებამ სათადარიგო თანხაში გადარიცხა 20 პროცენტი. გამგეობის წევრებს: ივანე თალაკვაძეს, მიხაკო ნინიძეს და გიორგი ვასაძეს გამოეცხადა მადლობა ენერგიული შრომისთვის და აჩუქა 50 მან. ამ მოგებისაგან, გამგეობამ კი ეს ფული ერთხმად შესწირა ადგილობრივ მოსე ნინიძის სახელობის სამკითხველოს.

საზოგადოებისადმი მიმართვა

ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც მე ვემსახურები საყმაწვილო ლიტერატურას და ავათ თუ კარგათ მიმყავდა ჟურნალი „ჯეჯილი“. არა ერთ თაობას უნახავს ჩემი შრომა და იმათ უნდა დასდონ მსჯავრი თუ რა სიყვარულით ვეკიდებოდი ჩემ პირმშო შვილს.

ახლა მოვხუცდი, საყმაწვილო ჟურნალის მოთხოვნილებაც გაორკეცდა. დროც ჩვენი სამშობლოსთვის სხვა დადგა. საჭირონი არიან უფრო დროს შესაფერნი მუშაკნი და ამიტომ უნდა სიხარულით აღვნიშნო ის პირნი, რომელთაც იკისრეს ახლა „ჯეჯილის“ წაყვანა: ქრისტინე შარაშიძე, ალ. ალ. ფაღავასი, ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი), ან. რცხილაძე-წუწუნავასი და ნ. ჩაგუნავა-გელაშვილისა.

იმედია ეს პირნი რაკი ჩადგებიან საქმის სათავეში პირნათლად გაუძღვებიან ამ მძიმე საქმეს. მე კი თვალების დახუჭვამდის ჩემ საყვარელ „ჯეჯილს“ არ მოვაკლებ შველას, როგორც ჩემი გამოცდილებით, ისეც ყოველივე ჩემი ძალღონით.

ჩემთან ერთათ, როგორც დასაწყისიდან მხარში მიდგენ, ეკ. გაბაშვილისა და ეკ. მესხისა ადრინდელივით „ჯეჯილს“ პატრონობას გაუწევენ და შიო მღვიმელიც, როგორც მუდამ, დაატკბობს თავისი ლამაზი ლექსებით „ჯეჯილის“ პატარა მკითხველებს.

ანასტასია-წერეთლისა.

ქალაქის შრომის ბირჟა

27 ნოემბრიდან 1917 წლისა 31 დეკემბრამდე ქალაქის შრომის ბირჟის მოღვაწეობა შემდეგ სურათს წარმოადგენს:

ამ ხნის განმავლობაში სულ ჩაწერილა 1359, ამათგან 944 მამაკაცი და 381 ქალი. პროფესიით ასე განიყოფებიან: ლითონის დამუშავების მრეწველობა—129, ხის—32, საამშენებლო მუშები—12, ტანისამოსის მკერავნი—32, სავაჭრო—51 კაცი და 27 ქალი, ტრანსპორტი—78, პირადი სამსახურის—108 კაცი და 89 ქალი, კანტორის მომუშავე—215 კაცი და 135 ქალი, თავისუფალი პროფესიის—66 კაცი და 46 ქალი, დანარჩენი პროფესიის—221 კაცი და 84 ქალი.

ზემოაღნიშნული მუშები 2237-ჯერ იყვენ ბირჟაში.

მოთხოვნა იყო—241 დაწესებულებიდან, სჭირდებოდათ 887 მუშა, ამათგან 759 კაცი და 128 ქალი, ადგილობრივი —828 და სხვა ქალაქების 59.

პროფესიის მხრით მოთხოვნილება ასეთია: ლითონის დამუშავების მრეწველობა—28, ხის—18, ტრანსპორტი—168, პირადი სამსახური—319, კანტორის სამუშაო—69, შავი მუშები—184 და სხვა—160. მუშათა უმრავლესობა არა თავის პროფესიაზე გაიგზავნა და ტრანსპორტის და პირად სამსახურის კატეგორიაში მოხვდენ.

ბირჟამ მოთხოვნის თანხმათ გაგზავნა 498 მუშა, რომელთაგან ადგილობრივ დარჩა 476 და ქალაქ გარეთ წავიდა 22. ამათგან მიიღეს 230—227 აქ და 3 ქალაქ გარეთ.

დანარჩენ გაგზავნილ მუშების მდგომარეობის შესახებ ჯერ ცნობები არ არის. ბირჟამ ვერაფერი გააწყო დაერწმუნებინა დამქირავებლები და მუშები სწორე ცნობები მოეწოდებიათ გაგზავნილ მუშების შესახებ და ეს საქმეს აფერხებს.

ინტელიგენტ მუშათა მოთხოვნა მუშებთან შედარებით ძალზე ნაკლებია. ეს უმთავრესათ აიხსნება მსხვილ დაწესებულებების ლიკვიდაციით. ბუხგალტერია და მოანგარიშეთა შესახებ მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება, რადგანაც ამ პროფესიის უმუშევარი ხალხი ცოტაა.

მიუხედავათ ხანმოკლე არსებობისა შრომის ბირჟის მოქმედება ფართოვდება.

დღემდე არა სჩანს, რომ მწარმოებელნი კარგის თვალით უყურებდეს მას.

ყოველ შემთხვევაში, შრომის ბირჟა ისეთ ადგილს დაიჭერს, რომ უმისოთ მუშები არ მიიღებიან.

შრომის ბირჟა ღიაა დილის 10 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე, გარდა კვირაუქმე დღეებისა. მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ზუბალაშვილის სახლში. № 11, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ ბირჟა არავისგან არავითარ სასყიდელს არ ღებულობს. მოთხოვნა წერილით და დეპეშითაც შეიძლება.

უცხოეთი

გერმანიაში დეკემბრის შუა რიცხვებში ჰოლანდიის საზღვრის ახლოს დააპატიმრეს ცნობილი სოციალისტი კარლ მინსტერი, გაზეთ „კამფ ამსტერდამეს“ რედაქტორი. გერმანიის მთავრობის ბრძანებით ის ბერლინში გაგზავნეს. როგორც გაზეთები იუწყებიან, მინსტერს სიკვდილით დასჯა მოელის.

დრეზდენში 10 წელია იბრძვის სოც.-დემ. ქალაქის თვითმართველობის არჩევნებში. ომმა ბურჟუაზიულ პარტიებში არევ-დარევა შეიტანა. ამ ჟამად ს. დ. ქალაქის გამგეობაში 3 წევრი ჰყავთ. ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციასაც უკანასკნელ არჩევნებში 4 ადგილი შეემატა.

ამას წინათ პარლამენტში სამღვთო სჯულის საკითხის განხილვის დროს როგორც შეიდემანის მომხრე გარნიშმა, აგრეთვე დამოუკიდებელმა გოფმანმა სასტიკათ გაილაშქრეს ამ საგნის წინააღმდეგ და მოითხოვეს საერო სკოლა. გოფმანმა სხვათა შორის სთქვა: „ის, ვინც ომიდან დაბრუნდება, სინდისის თავისუფლებასაც მოიპოვებს და როცა ისინი თავიანთ თავს შეეკითხებიან—თუ სად იყო ღმერთი ომის დროს, ამის შესახებ სწორ პასუხს ადვილათ იპოვნიანო. ხალხი ყველაფერს გაარჩევს... ვინც ომში სისხლს ღვრიდა, ის მოიპოვებს თავისუფალ საარჩევნო უფლებას და თავისუფალ შკოლასაცო.

შეიდემანის ზომიერი პოლიტიკაც კი აღშფოთებას იწვევს გერმანიის ბურჟუაზიულ წრეებში. ერთი შოვინისტური გაზეთი, რომელიც ფრანკფურტში გამოდის, შეიდემანის მოღვაწეობას თვლის სახელმწიფო ღალატათ და მოითხოვს მის სამხედრო სასამართლოში გადაცემას და თან დასძენს:—საუკეთესო გასამართლებელი საშუალება ამ ვაჟბატონისა იქნებოდა ცხელი ტყვიაო.

ბერლინის ახლო უბან შენებერგში, სადაც მცხოვრებნი თითქმის მუშები არიან, მოხდა ქალაქის საბჭოს დამატებითი არჩევნები. საარჩევნო ბრძოლა იყო გაჩაღებული შეიდემანის მომხრეთა და დამოუკიდებელ სოციალისტებს შორის. დამოუკიდებლებმა მიიღეს მთელი ხმების 38 პროცენტი. არჩეულ იქნენ 1 დამოუკიდებელი სოციალისტი, 4 შეიდემანის მომხრე და 2 ლიბერალი. „ფორვერტსი“ აღნიშნავს რა ამ ამბავს, ასეთ დასკვნას აკეთებს: ამის შემდეგ აშკარათ დაინახავენ დამოუკიდებლები, თუ ვისკენაა მუშათა კლასის სიმპატია. სტატტო ქალაქის ახლო უბნის პროლეტარიატმაც კი ძველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კანდიდატებს მისცა ხმა.

გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიაში საწევრო გადასახადი 40 პფენიგიდან 60 პფენიგამდე გაადიდეს თვიურად (პფენიგი დაახლოვებით რუსულს ნახევარ კაპიკს უდრის). საწევრო გადასახადის გადიდებას იმით ასაბუთებენ, რომ ომის შემდეგ პარტიას ბევრი საქმეები ექნება გასაკეთებელი, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვსო.

რუსეთის ამბები

სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობამ 4 იანვარს 273 ხმით 261 ხმის წინააღმდეგ, (სამმა თავი შეიკავა) მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენების განხილვის შემდეგ მიიღო დადგენილება, რომლითაც მოითხოვენ დამფუძნებელი კრებისთვის მხარის დაჭერას. ყრილობის აზრით დამფუძნებელი კრება გამოხატავს მშრომელთა მასსის ძირითად მისწრაფებებს, ის ჩამოაგდებს დაუყონებლივ საყოველთაო დემოკრატიულ ზავს, დაამყარებს რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკას ფედერატიულ საფუძველზე, გადასცემს მიწას მშრომელ ხალხს უსასყიდლოთ, მოაწესრიგებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას სახელმწიფოებრივი საზომის თანახმად. ყრილობას აუცილებლათ მიაჩნია დამფუძნებელი კრების მიერ ერთფეროვანი სოციალისტური მთავრობის შედგენა სოციალისტებისაგან. ეს მთავრობა პასუხის მგებელი უნდა იყოს თავის მოქმედებაში მხოლოდ დამფ. კრების წინაშე. მოვითხოვთ სახალხო კომისართა საბჭოსაგან უზრუნველჰყონ დამფუძნებელი კრების მუშაობა ყოველგვარ საფრთხესაგან და შეუთანხმდეს მის უმრავლესობას მთავრობის შედგენის საქმეში. ყრილობა მიესალმება დამფუძნებელ კრებას და აღუთქვამს მას მარის დაჭერას. ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა დასტოვეს ბალშევიკებმა და მემარცხენე ესერებმა. ყრილობა განაგრძობს მუშაობას. ყრილობის პრეზიდიუმი მოუწოდებს ამხანაგებს დამშვიდებით განაგრძონ თავთავიანთ ადგილებზე მუშაობა.

მოსკოვში ზოგიერთი შეჩერებული გაზეთები გამოვიდა, ვინაიდან მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს წინასწარი ცენზურა გაუუქმებია.

წერილი ბაქოდან

3 იანვარს სტ. შაუმიანმა ბაქოში ლექცია წაიკითხა შემდეგ თემაზე: „შეინარჩუნებენ თუ არა ბალშევიკები მთავრობასო“.

რაღაცას მოველოდით. ვფიქრობდით, იქნებ თფილისმა მაინც მოაჰკუიანაო, მაგრამ განა პეტროგრადში „შეშლილს“ თფილისი ჭკუაზე როგორ მოიყვანდა.

ვფიქრობდით, შეიძლება ლენინის მადლიანი კალმის მოსმით იქნებ რუსეთში ობიექტიური პირობები შეიცვალა, სოციალიზმის განხორცილება შესაძლებელი გახდა, შაუმიანი ამ ახალ ამბავს შეგვატყობინებს. აბა მანეთს (შესასვლელ ფასს) ვინ დაიშურებდა?!.

თურმე საქმე შემდეგში ყოფილა: თფილისში დამარცხებულს ბაქოში უფიქრია „ობორონცების“, ამ. კავკ. მენშევიკების ლანძღვა-გინებით გულის ჯერება და კიდეც იჯერა.

თავის ვრცელ მოხსენებაში, რომელიც 3 ნახ. საათს გაგრძელდა, შაუმიანმა გვითხრა: არ არსებობს ქვეყნათ ისეთი ძალა, რომელმაც სახ. კომ. მთავრობის დამარცხება შესძლოსო.

დამამტკიცებელი საბუთი? ლენინის ბროშიურაში ასე სწერია.

„სამოქალაქო ომი, რევოლიუციას აღრმავებს, წმინდა წყლის რევოლიუციონერებს ახალისებს, რადგან ის სოციალიზმის წინამორბედია. უსისხლო რევოლიუცია ისტორიამ არ იცის, რევოლიუცია უსისხლოთ, ეს კადეტების და მათი მაჩანჩალების საქმეა. ისინი ფრთხალები არიან, ჩვენ გამბედავები, მამაცები ვართ. მამაცურათ ჩავიგდეთ მთავრობა ხელში. ახლა გამბედაობა გვმართებს. გამბედაობა—გამბედაობა, ამხანაგებო, სისხლმა გული არ შეგიკრთოთ, მოგიწოდებთ თქვენ, რადგან ასე ამბობს უბადლო წინასწარმეტყველი და შეუპოვარი ლენინიო“.

დამფუძნებელი კრება, როგორც შაუმიანმა აგვიხსნა, სახ. კომ. მონა-მორჩილი უნდა იყოს, და თუ ეს ასე არ მოხდა, გავრეკავთ, და ხელ-ახალ არჩევნებს მოვახდენთო.

ბურჟუაზიის დასამორჩილებლათ უებარი საშუალება გვასწავლა: პურის ბარათების ჩამორთმევა. მშიერს დავტოვებთ, და არ მოგვეხმარებიან სოციალიზმის განხორციელებაში აბა, რა გზა ექნებათო! ლენინს ასე უთქვამს. ყველაფერში ლენინის ლიტონ სიტყვებზე ემყარებოდა. საბუთებს მეტს არ საჭიროებდა, თითქოს ლენინი, მთელი კაცობრიობის აზროვნების ქვა კუთხედი იყოს.

მთელ ლექციაში ფრიად საინტერესო იყო ერთი ადგილი. მან სრულიად სამართლიანი შედარება მოიყვანა ნიკოლოზ II და ლენინის მთავრობის შორის. ნიკოლოზ II რეპრესიებს ემყარებოდა, ყველას დევნიდა და ბატონობაც ამდენ ხანს იმით შეინარჩუნა. ჩვენც ასე ვიქცევით. არავის არ დავზოგავთ, არამც თუ კადეტებს, ობორონცებსაც კი შეუბრალებელი დევნის მსხვერპლათ გავხდით, სანამ ჩვენ ჭკუაზე არ მოვლიანო.

ამ. კავკ. კომისარიატი ხომ მიწასთან გასასწორებელი ყოფილა, და რევ. ჯარი რომ ასე გულცივათ უყურებს, უმოქმედობას, და კონტრ. რევ. ბუდეს ძირიანათ არ აგდებს საკვირველათ მიაჩნია.

ერთი სიტყვით, მთელი ლექციის შინაარსი გამოიხატებოდა შემდეგში: „გაუმარჯოს სამოქალაქო ომს“! ძირს დამფუძნებელი კრება! „შიმშილით სიკვდილი“ პურის ბარათის მოსპობით ბურჟუაზიასო (თუმცა შენიშნეს რომ „რევ. არმია“, სპეკულიაციას არ მოერიდება, ბალშევიკებისგანვე იყიდიან ბურჟუაზია თეთრ პურსო), გაუმარჯოს სიტყვის, კრების, ბეჭდვის, გაფიცვის და სხვ. თავისუფლების ჩახშობას!.. განადგურება ამ. კავკ. კომისარიატს გეგეჭკორითურთო (არ შეიძლება ამხ. გეგეჭკორს არ უსაყვედუროთ: რაზე გაგვიხელა ასე ძლიერ სტ. შაუმიანი).

აქ გასაკვირალი არაფერია.

რევოლიუციონურ ქურქში გახვეული ავათმყოფ ხალხს თავი მთელ რუსეთით, ყოვლის შემძლეთ და ყოვლის მცოდნეთ მოაქვთ. ქადაგებენ სამოქალაქო ომს. მთელს რუსეთს სისხლში ახრჩობენ. ეს არ ეყოთ და ახლა ლენინის ავტომატკუდები შაუმიანის და კომ. სახით ჩვენშიაც ლამობენ სამოქალაქო ომის ცეცხლის გაჩაღებას.

მაგრამ მათ ბატონობასაც მალე მოეღება ბოლო. დადგა ხანა რუსეთის შეგნებული დემოკრატიის გამორკვევის და თუ მან თებერვალში პირველი ხარისხის ნიკოლოზის ტახტის დანგრევა შესძლო, მეორე ხარისხის ნიკოლოზის უღელსაც აიშორებს.

ივ. მიქაშავიძე.

კახეთის რკინის გზა

კახეთის რკინის გზა უკანასკნელ დღეებშია. თუ რაიმე განსაკუთრებული და ენერგიული ზომები არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია გზის დახურვა, რადგან ამ გზის შემოსავალი, შედარებით გასავალთან, თანდათანობით კლებულობს.

ამის უმთავრესი მიზეზია ომიანობის მიერ გამოწვეული ეკონომიური არევ-დარევა და დღევანდელი საერთო ანარქია.

მაშასადამე, ჩვენი გზა რომ გამობრუნდეს, საჭიროა დასახელებული მიზეზების მოსპობა. პირველი მიზეზის მოსპობას მალე არ უნდა ველოდეთ, ხოლო მეორე მიზეზს, ანარქიას, დღესვე უნდა ვებრძოლოთ. ვინ უნდა ჰქნას ეს? უმთავრესათ გზის ადმინისტრაციამ და კომიტეტებმა. მაგრამ კახ. რკ. გზაზე ეს ვერ ხერხდება, ვინაიდან ადმინისტრაციას არ სურს კომიტეტებთან შეთანხმებით მუშაობა.

დღეს ყველა რევოლიუციონური ორგანოები უმთავრესათ ანარქიას ებრძვიან და ცდილობენ იხსნან რევოლიუცია დაღუპვისაგან.

ასეთსავე მიზანს ემსახურება კახ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მთავარი კომიტეტი და მასთან ერთად ყველა ადგილობრივი და რაიონული კომიტეტები. ყველა ესენი ცდილობენ წესრიგის დაცვას რკ. გზაზე, შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესებას და ამით გზის გადარჩენას დაღუპვისაგან.

მაგრამ ამ მუშაობაში კომიტეტებს თავიდანვე უშლიდა ხელს გზის ადმინისტრაცია და დღესაც უშლის. ამის გამო ცენ. კომიტეტსა და ადმინისტრაციას შორის, თითქმის, მუდამ შეუწყვეტელი კონფლიქტებია, რაც ხელს უწყობს გზაზე მდგომარეობის გამწვავებას და ანარქიის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ამ კონფლიქტების მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ადმინისტრაცია დღესაც იმ მთავრობების ძველ ინსტრუქციაცირკულიარებზე ემყარება, რომელნიც დიდი ხანია რევოლიუციის ტალღებმა უფსკრულში დამარხეს და რომელნიც თვით ცხოვრებამ გააუქმა. ცენტრალურ-

---

თავის აღორძინების პირველ ხანაში ემზადებოდა ნება-ყოფლობით ხელი აეღო ყველა თავის კოლონიებზე, რომლების მფლობელობაში არავინ ეცილებოდა.

და აი, ინგლისის ბურჟუაზიის ეს შეცვლა-გარდაქმნა საბოლოოთ მტკიცდება დღევანდელ ომის მსვლელობაში.

— „თქვენ სასაცილოთ იღებთ გერმანიის კარტოფილის პურს,—სთქვა ომის დასაწყისში ინგლისის მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა ლონდონის ერთ მიტინგზე.—თქვენ ვერ ხედავთ, რომ ეს სამხედრო პური ჩვენი მტრების პატრიოტულ თავგანწირულობის მაჩვენებელია. მე ვისურვებ, ჩვენშიაც მენახოს ასეთივე გრძნობის გამოხატულება“-ო.

ამ გაბედულმა სიტყვებმა მაშინაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ხოლო შემდეგმა ამ სიტყვების უფრო ღრმა და ფართო მნიშვნელობა გამოარკვია. მართლაც, ეჭვს გარეშეა, არა სამხედრო პური, არამედ გერმანიის სამხედრო წყობილება მთელ მის სოციალურ ფესვებით იმ მისაბაძ მაგალითად გახდა, რომლის დაგვარათ ინგლისი შეუდგა თავის ჯარის სისტემის, ეკონომიურ ცხოვრების და სახელმწიფო დაწესებულებების გადაშენებას.

„ვისწავლოთ გერმანიისაგან გერმანიაზე გასამარჯვებლათ“,—აი საერთო ლოზუნგი ინგლისის ბურჟუაზიის, მთავრობის და სამხედრო ავტორიტეტების.

ომის დასაწყისშივე ინგლისის უმთავრეს სამრეწველო ორგანიზაციების კონგრესმა შემდეგი შესანიშნავი დადგენილება მიიღო: ინგლისის ბანკების პოლიტიკა უნდა ძირიანათ შეიცვალოს, აქ საფინანსო კაპიტალის ზრდას ფართო ასპარეზი უნდა გაეხსნასო. ამავ კონგრესმა გამოთქვა სურვილი: კარტელების და ტრესტების განვითარება გერმანიის მსგავსათ ინგლისისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენსო, და ამ ტრესტებს შინაური ბაზარი სახელმწიფო ბაჟების საშუალებით უნდა დაუმკვიდრდესო. მთავრობაც თავიდანვე ამ სურვილებს წინ მიეგება. მრავალგვარ მაღალ „საფისკო“ ბაჟების შემოღებით პროტექციონიზმის განხორციელება უკვე დაწყებულია ინგლისში. კოლონიალურ მთავრობების წარმომადგენლებს ლონდონში იწვევენ, რომ იმპერიის საბაჟო გაერთიანების გეგმა შეიმუშავონ. ჩემბერლენის იდეა—„დიდ ბრიტანიის მთლიანი იმპერია“—ახალი ძალით ცოცხლდება. მის მობაირაღტრეთ ახლა მთელი ინგლისის ბურჟუაზია გამოდის. ომის მეორე წლის დასასრულს ინგლისის ყველა სავაჭრო პალატების კონგრესმა მიიღო დადგენილება, რომლის სამი მთავარი დებულებაა: ომს შემდეგ ინგლისის იმპერიაში „სატარიფო რეფორმის“ შემოღება, მოკავშირე სახელმწიფოებთან შეღავათიან ტარიფით გაერთიანება და საშუალო ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ ზავს შემდეგ „სატარიფო ომის“ წარმოება. საყურადღებოა, რომ ამ დადგენილებას ხმა მისცა სხვათა შორის **მანჩესტერის** სავაჭრო პალატამაც, რომელიც თავისუფალ ვაჭრობის შეურყეველ სიმაგრეთ ითვლებოდა და რომლის სახელით მთელ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობა „მანჩესტერულ სისტემათ“ იყო მონითლული. ინგლისის მთავრობაც ამ ლტოლვილების განხორციელებას ენერგიულათ ნიადაგს უმზადებს. იმ ნივთიერ დახმარებას, რომელსაც ის დღეს მოკავშირეებს უწევს, ისეთ პირობებით საზღვრავს, რომლებიც მოკავშირეთა მრეწველობას ინგლისის მრეწველობასთან დიდი ხნით აკავშირებენ. ამასთანავე ინგლისის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობასთან ერთათ ითავა **პარიზის ეკონომიურ კონფერენციის** მოწყობა, სადაც ყველა მოკავშირეებმა დადგენილება მიიღეს ზავს შემდეგ შეთანხმებული სადამოენო კამპანია აწარმოვონ გერმანიის კოალიციის წინააღმდეგ. პარიზის კონფერენციის დადგენილებანი მეტათ საყურადღებოა, და მათ ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. აქ კი მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კონფერენციაზე ინგლისის მთავრობამ თავის მხრით ვალდებულება მიიღო ეს საერთო გადაწყვეტილება განახორციელოს: ამით მან თავისუფალ ვაჭრობის აღდგენა შეუძლებლათ გახადა და თავის ოფიციალურ პროგრამათ პროტექციონიზმი სცნო.

ასეთ ეკონომიურ ცვლილებებთან ერთათ ინგლისში შესაფერი ღრმა პოლიტიკური ცვლილებებიც განმტკიცდება. ომის პირველსავე ხანაში იშვა კოალიციონური კაბინეტი და ეს არა ჩვეულებრივი მთავრობა გახდა არა—ჩვეულებრივი გზითაც. პარლამენტის გარდაწყვეტილების ნაცვლათ ის ლიბერალ და კონსერვატორ მინისტრთა შეთანხმებით მოეწყო. ამით ლიბერალების და კონსერვატორების პოლიტიკური დაახლოვება განმტკიცდა და აღმასრულებელ ძალას პარლამენტისგან ფაქტიური დამოუკიდებლობა მიეცა.

ამ დაახლოვებას ორმა ზომამ შეუმზადა ნიადაგი: 1914 წ. აგვისტოში გამოცემულმა „**სამეფოს დაცვის კანონმა**“, რომლის ძალითაც ომის დროს შეჩერებულია ბრიტანიის ხალხის „კონსტიტუციონურ უფლებების“ მოქმედება (ე. ი. პიროვნების ხელუხლებლობა, კრებების, სიტყვის თავისუფლება და სხვ.) და **ირლანდიის თვითმართველობის (ჰომრულის) განხორციელების გადადებამ.**

მხოლოდ ამ უკანასკნელმა ზომამ გახადა შესაძლებელი ირლანდიაში მომხდარი ამბები. ძველი ლიბერალური მთავრობაც კი არ იყო ჩვეული იმ სასტიკ ზომებს, რომლითაც ეს მოძრაობა ჩააქრეს. არა ჩვეულებრივი იყო აგრეთვე უარი მოძრაობის მონაწილეთა ამნისტიაზე. მართალია, კოალიციონურ მთავრობის ზოგი ლიბერალური მინისტრი შეეცადა ირლანდიის საკითხი მშვიდობიან შეთანხმებით გადაეწყვიტათ. მაგრამ ეს ცდა ჩაიშალა არა ირლანდიის პარტიების წინააღმდეგობით, არამედ კაბინეტის მემარჯვენე ხელმძღვანელ ნაწილის მეოხებით. კოალიციონურ კაბინეტის უმთავრესი პოლიტიკური ნაბიჯები იყო: ინგლისში **საყოველთაო სამხედრო ბეგარის** შემოღება და **წარმოების ახალ წესების** მიღება, რომლებმაც მუშათა ტრედ-უნიონებს საუკუნოებით შეძენილ უფლებებზე ხელი ააღებინეს. ომით გატაცებულმა მუშებმა ამ ცვლილებებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მაგრამ ტრედ-უნიონების კონგრესებმა გვიჩვენა, რომ ინგლისის მუშებს კარგათ ესმისთ ამ ზომების ნამდვილი მნიშვნელობა მმართველ ბურჟუაზიის პოლიტიკის ძირითად შეცვლის ხანაში და ის დანიშნულება, რომელიც მომავალში მუდმივ ჯარს შინაურ ფრონტზე მიეცემა.

ამრიგათ მთავრდება ინგლისის ლიბერალიზმის ევოლიუცია და მასთან ერთათ ინგლისის მთელ წყობილების გარდაქმნა.

ამ ვითარების დასაგვირგვინებლათ საჭირო გახდა კონსერვატორთა დიქტატურა; და აი, ასკვიტის კოალიციონურმა კაბინეტმა ადგილი დაუთმო ახალ კაბინეტს, სადაც კონსერვატორთა სრული ჰეგემონია სუფევს. ამ კაბინეტის ხელმძღვანელათ გახდა ლოიდ-ჯორჯი, ის ლიბერალი მინისტრი, რომელმაც მმართველობის ახალი მეთოდები საუკეთესოთ შეითვისა. ხოლო ლიბერალების უმრავლესობა თავის წინანდელ მოწინააღმდეგეთა კაბინეტს გარედან მხარს უჭერს და ამაგრებს.

მართალია, ლიბერალურ პარტიას გამოეყო პატარა რადიკალური ჯგუფი, რომელიც ძველი პროგრამის ერთგული დარჩა. მაგრამ ეს გარემოება კიდევ უფრო აშკარათ ხდის, თუ რამდენათ დაემსგავსა ინგლისის ბურჟუაზიის ახალი ვითარება გერმანიის ბურჟუაზიის ვითარებას. როგორც იქ, ისე აქ ბურჟუაზიის მთავარი გავლენიანი ნაწილი „ნაციონალ-ლიბერალურ“ პოლიტიკას ითვისებს და კონსერვატორებს უახლოვდება, ხოლო „წმინდა ლიბერალიზმის“ დამცველთა პატარა ჯგუფი განცალკევებული და ჰაერში გამოკიდებული რჩება.

ყვირილელი.

(დასასრული იქნება).

რი კომიტეტი კი ანგარიშს უწევს, პირველ ყოვლისა, ცხოვრების სინამდვილეს და მას უფარდებს თავის მოქმედებას.

გზის გამგეს, ბ-ნ თუმანიშვილს, მუდამ ხელში უჭირავს მაისში გამოცემული ნეკრასოვის ცირკულიარი № 6321 და ამბობს: მე ამის თანახმათ ვმოქმედობო, —და თითონვე არღვევს მას. ამ ცირკულიარის ძალით მას არა აქვს უფლება ვინმე დაითხოვოს სამსახურიდან კომიტეტის დაუკითხავად, მაგრამ ის ამას არ ასრულებს. მაგ., დეკემბრის ბოლო რიცხვებში ბ. გზის გამგემ დაითხოვა ერთი მოსამსახურე (რომელსაც ის დიდი ხანია არ სწყალობს, ალბათ იმიტომ, რომ ის კომიტეტში მუშაობდა და ზოგიერთ უფროსის ბოროტ-მოქმედება გამოამჟღავნა) და ამის შესახებ არაფერი არ აცნობა ც. კომიტეტს. როცა ამის გამო ც. კომიტეტი შეეკითხა ბ. გამგეს, მან უპასუხა: მე ის არ დამითხოვია, მხოლოდ შტატს გარეშე დავტოვე, რადგან საჭირო აღარ იყოვო. და რადგან ქაღალდზე სწერია სიტყვები: „შტატს გარეშე“ და არა „დათხოვა“, თურმე ამიტომ არ იყო საჭირო შეკითხებოდა ც. კომიტეტს. თითქოს დათხოვა და შტატს გარეშე დატოვება ერთი და იგივე არ იყოს.

ნოემბრის პირველ რიცხვებში დაითხოვეს მეორე უბნის 48 დღიური მუშა და ამის შესახებ არ აცნობეს არც კომიტეტებს და არც მუშებს გამოუცხადეს წინდაწინვე. ამან გამოიწვია მთელი უბნის (მელაანიდან თელავამდე და წნორამდე) რემონტის მუშების გაფიცვა. და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართეს ც. კომიტეტს,—გვიშველეთ, დაგვეხმარეთო. ამ უკანასკნელმა გურჯაანის კომიტეტთან ერთად მიიღო საჭირო ზომები და სამი დღის შემდეგ გაფიცვა შესწყვიტა, ხოლო დათხოვნილ მუშებს დაჰპირდა საქმის გამორკვევას. ეს დაპირება მან მალე შეასრულა, საქმე გამოარკვია და, რომ მოსალოდნელი ექსცესები თავიდან აეცილებია, შესაფერი გზა გამონახა მუშების დასაკმაყოფილებლათ და თავის დადგენილება ამის შესახებ წარუდგინა გზის გამგეს. მაგრამ ეს დადგენილება სისრულეში არ მოუყვანიათ და დათხოვნილი მუშები დღესაც ანგარიშ გაუსწორებელი არიან. ც. კომიტეტი გრძნობს, რომ ამ მუშების დაკმაყოფილება მძიმე ტვირთად დააწვება გზას, მარა ეხლა სხვა გზა აღარ არის და ამაში სრული პასუხის მგებელია ადმინისტრაცია, რომელმაც თავის ნებით დაითხოვა მუშები და თავიდანვე არ შეეცადა ც. კომიტეტთან ერთად მშვიდობიანად და გზისთვის უფრო კარგ პირობებში გადაეწყვიტა ეს კითხვა. ბ. თუმანიშვილი ეხლავე მიუთითებს ცირკულიარზე და იტყვის: —მე დღიური მუშები დავითხოვე და ამის უფლება მქონდაო,—მარა საქმე უფლებაში და ცირკულიარში კი არ არის, არამედ სინამდვილეში. მართალია, ეს მუშები დღიურებათ იწოდებიან, მარა ისინი თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან თვიურებისაგან, რადგანაც ისინიც თვეობით და წლობით მუშაობენ. ჩვენ ხშირათ გვეკითხებიან ხოლმე დღიური მუშები:—აგვიხსენით, რით განვირჩევით თვიურებისაგან, როცა ჩვენც მათთან ერთნაირათ ვმუშაობთ; ერთ თავიდან მე ვსწევ შპალს, მეორე თავიდან კი თვიური, თავისუფლებასაც („ოტპუსკს“) მათ მეტს აძლევენ, ვიდრე ჩვენა. ეს ჭეშმარიტებაა, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ, ხოლო ეს ჭეშმარიტება ნეკრასოვის ცირკულიარში არ არის. როცა ჩვენ ასეთ ჭეშმარიტებაზე მაღლა ცირკულიარებს დავაყენებთ, ამით ექსცესებს გამოვიწვევთ და გზას ვაზარალებთ.

ცხადია, მუშების დაქირავების წესი ან სრულიად უნდა შეიცვალოს, ან უნდა აკმაყოფილებდენ მათ ისე, როგორც თვიურებს. სხვა გზა არ არის.

წარსული წლის დეკემბერში გზის ექსპლოატაციის უფროსმა ც. კომიტეტს გამოგზავნა ქაღალდი და მასთან ოთხი მოსამსახურის თხოვნები მათი ყოველგვარი დოკუმენტებით. უფროსი სწერდა კომიტეტს: ეს ოთხი კაცი სადგურ მუკუზანის უფროსობას მთხოვს და მაცნობეთ—ვის მივსცე მათში უპირატესობაო. ც. კომიტეტმა განიხილა ყველა თხოვნები და დოკუმენტები და თავისი აზრი შეატყობინა უფროსს. როცა ეს გაიგო გზის გამგემ, კატეგორიული უარი განაცხადა ც. კომიტეტის მიერ ამორჩეულ კაცის დანიშვნაზე და საყვედურიც მისწერა ექსპლუატაციის უფროსს—რათ შეეკითხე ც. კომიტეტს, რა მისი საქმე იყოვო.

ამნაირათ, ჩვენ შეგვეკითხენ, გვამცნეს, ჩვენი აზრი გამოგვათქმევინეს და შემდეგ ყველა ამას ბ. თუმანიშვილმა ჯვარი გადუსვა. ამ მაგალითებიდანაც ნათლად სჩანს, რომ ასეთ უფროსთან მუშაობა შეუძლებელია. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება ბარომეტრივით მოქმედებს მუშა მოსამსახურეებზე და არა სასურველ შედეგებს ვღებულობთ ხოლმე.

ამიტომ ც. კომიტეტი მოვალე იყო ამ მდგომარეობისათვის ანგარიში გაეწია და გამოსავალი გზა მოენახა. ის ასეც მოიქცა და 30 დეკემბრის და 2 იანვრის სხდომებზე გადასწყვიტა—ყოველგვარი ადმინისტრატიული უფლებები თითონ აეღო ხელში. 2 იანვარს ც. კომიტეტი მთელი თავისი შემადგენლობით წავიდა სასახლეში, ინახულა ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და გააცნო მას საქმის ყოველგვარი ვითარება ამ კითხვის გამოსარკვევათ. ნ. ჟორდანიამ მიიწვია ც. კომიტეტის წევრები იმავე დღესვე ქართულ ნაც. საბჭოს ქონებათა სექციის კრებაზე. მაგრამ ამ დღეს კითხვის გადაჭრა ვეღარ მოასწრო და დაადგინეს მხოლოდ, რომ მიენიჭოს კახ. რკ. გზის ც. კომიტეტს ისეთივე უფლებები, როგორიც აქვს ამიერ კავკ. რკ. გზის ც. კომიტეტსაო. კითხვის საბოლოოდ გამორკვევა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რომელიც მოხდა 5 იანვარს. ამ კრებაზე მიწვეული იყვენ, როგორც ც. კომიტეტის წევრები, აგრეთვე გზის გამგე ბ-ნი თუმანიშვილი და გამგ. თავმჯდომარე ფ. გოგიჩაიშვილი

ბ. თუმანიშვილმა გააკეთა მოხსენება კახ. რკ. გზის ადმინისტრაციასა და ც. კომიტეტის შორის ურთიერთობის შესახებ. ამ მოხსენების მთავარი აზრი შემდეგში მდგომარეობს: კახ. რკ. გზ. გამგეს, ბ. თუმანიშვილს, გზის საკეთილდღეოთ მუშაობაში ხელს უშლიდა ცენ. კომიტეტი, რომელშიაც, მისი აზრით, მოხვედრილან არასასურველი პირება და. რომელნიც თურმე წყალს ამღვრევენ და ცდილობენ დასცენ ადმინისტრაციის პრესტიჟი. მე ვემყარები არსებულ ცირკულიარებს და კანონებს,—ც. კომიტეტი კი ამათ უარყოფსო,—განაცხადა მან. საბუთები, რომელიც მან მოიყვანა თავის აზრის დასამტკიცებლათ, იქვე გააბათილეს ც. კომიტეტის წევრებმა. რომელთაც მოკლეთ გააცნეს აგრეთვე კრებას, რომ ბ-ნი გზის გამგე თავიდანვე ვერ ეგუება კომიტეტებს და მუდამ ებრძვის მათ, და რომ თავისი განკარგულებებით გზის ადმინისტრაციას არევდარევა შეაქვს გზაზე და სხვა. ეს კი იმის ბრალია, რომ ბ. გამგე ემყარება დრო მოჭმულ კანონებს და ანგარიშს არ უწევს ცხოვრების სინამდვილეს.

ამიერ კავკ. რკ. გზის ც. კომიტეტის თავმჯდომარემ, ი. ზურაბოვმა, გააცნო კრებას, რომ ამიერ კავკ. გზაზე დაარსდა ტეხნიკური კომისია, რომლის ხელშიაც არის სრული უფლებები. ამ კომისიის დადგენილებები ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ მოჰყავს სისრულეში და საქმეც კარგათ მიდისო.

როცა შეეკითხენ ბ-ნ თუმანიშვილს —შეიძლება თუ არა ასევე მოეწყოს საქმე ჩვენ გზაზეო,—მან უპასუხა: „სანამ ნეკრასოვის ცირკულიარი იარსებებს, მე არ შემიძლიაო“. მას უთხრეს—ცირკულიარი ნეკრასოვთან ერთად გაუქმებულია თავისთავად და ჩვენ იხე უნდა მოვიქცეთ, როგორც საქმისთვის აჯობებსო. მან განაცხადა: „მომწერეთ ოფიციალური ქაღალდი ამ ცირკულიარის გაუქმებისა და შემდეგ მომეცით ინსტრუქცია, თუ როგორ ვიმოქმედოვო“. მარტო ამ განცხადებიდან აშკარაა, რომ რევოლიუციონურ ორგანოს არ შეეძლო მუშაობა ისეთ ადმინისტრატორთან, რომელიც ძველ ცირკულიარებს ემყარება და მას გარეშე არაფრის გაკეთება არ სურს. ნაც. საბჭოს ქონებათა სექციამ დაადგინა: საქმის ყოველმხრივ მოსაგვარებლათ აირჩიოს კომისია და დაევალოს მას, შეიმუშაოს შესაფერი ინსტრუქცია. სასურველია ეს კომისია მალე მოაგვარებდეს ამ საქმეს. ხოლო უნდა ითქვას, რომ სანამ ბ-ნი გამგე ცირკულიარებს და პირად კითხვებს საერთო საქმეზე მაღლა დააყენებს, მანამდე ც. კომიტეტი ვერ შესძლებს მასთან მუშაობას. ც. კომიტეტი შემდეგშიაც იხელმძღვანელებს, უმთავრესათ, ცხოვრების სინამდვილით, დაიცავს რკინის გზის ინტერესებს და პირადობას და ნეკრასოვის ცირკულიარებს საერთო, საქმეზე მაღლა ვერ დააყენებს.

ვლ. ბოხოხაძე.

ხაშურის ქალაქის საბჭოში

31 დეკემბერს, მოხდა ხაშურის ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება. განიხილეს შემდეგი კითხვები: მოხსენება ქალაქის შესახებ, სურსათის, მილიციონერების შესახებ საკითხი. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ნ. იმნაიშვილმა. 2 იანვრიდან ხაშური გამოცხადებულია ქალაქად. ამ წესებით ქალაქის ხელში გადადის სასაკლაო და სასწორი. ყველა მეყასბეები ვალდებულია საქონელი დაკლას უსათუოთ სასაკლაოზე, ვინც ამას არ შეასრულებს პირველად დაჯარიმებული იქნება 25 მ., მეორეთ 50 მ., მესამეთ-კი 150 მ. და საყასბო დაეკეტება. შემუშავებულია საბჭოს მიერ სასაკლაოს ნიხრი ყველა დასაკლავ საქონელზე. საბჭომ აუცილებლათ სცნო ზეითალის და სასაკლაოს გამგის დაქირავება. ზეითლათ დანიშნულ იქნა ვ. ბასილაშვილი და გამგეთ ვ. ჯაფარაშვილი. ზეითალს დროებით დაენიშნა ჯამაგირი 50 მ. ის ვალდებულია ყოველი დასაკლავი საქონელი წინდაწინვე გასინჯოს და შემდეგ დააკვლევინოს. გამგეს დაენიშნა 100 მ. და 5 პროც. სასაკლაოდან შემოსულ ფულისა. საბჭომ შეიმუშავა აგრეთვე ნიხრი ყველა დაკლულ საქონელზე.

სურსათის შესახებ მოხსენება გააკეთა მელიქაძემ. მას ჰქონდა დავალებული რამოდენიმე პირის დახმარებით შეეგროვებია სოფლად ხორბალი, სიმინდი, ლობიო და სხ. მან სთქვა, რომ თქვენი დავალება ვერ მოვიყვანეთ სისრულეშიო, რადგან გლეხობამ ახლოს არ მიგვიკარაო. საჭიროა პურის რეკვიზიციის მოხდენაო. მიღებულ იქნა ერთხმად, რომ ხაშურის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანონ.

მილიციის შესახებ ნ. პატარიძემ სთქვა, რომ მილიციონერები თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვსო. დადგენილ იქნა დათხოვნილ იქნას მილიციონერი ძინძიბაძე, დანარჩენებს კი გამოეცხადოს უაღრესი გულის წყრომა და მიეცეს უკანასკნელად წინადადება, რომ უკეთუ ისინი არ მოიქცევიან ისე, როგორც ამას დღევანდელი მომენტი გვიკარნახებს, ყველა მათგანი დათხოვნილ იქნას სამსახურიდან.

ვ. მანელი.

სოც.-დემ. პარტიაში

დ. ქობულეთი (ბათუმის ოლქი). 29 დეკემბერს შესდგა ადგილობრივ რ. ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) კოლექტივის მუშაობა, 2) წლიური ანგარიშები, 3) ამიერ-კავკასიის კომისარიატი, და 4) დღევანდელი მომენტი და რევოლიუციის საფრთხე. პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალექსანდრე ჰანტურიამ, მან აღნიშნა, რომ კოლექტივმა ენერგიულათ იმუშავა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს. შემდეგ ორჯერ გამართა წარმოდგენა, პირველი წარმოდგენიდან დარჩა წმინდა შემოსავალი 342 მან. 25 კ. მეორედან კი 200 მ. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ცინცაბაძემ და შესაფერი რეზოლიუცია იქნა მიღებული. მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ჰანტურიამ და მისივე წინადადებით კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კრება სრულ ნდობას უცხადებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, გმობს ბალშევიკების გამოსვლას, დამფუძნებელი კრების გარეკას და ადგენს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად დაიცვას დამფუძნებელი კრება და რევოლიუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება. მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. რაფიელ ჩიხლაძემ. სხვათა შორის მან განსაკუთრებული სიტყვებით მიმართა ქართველ მაჰმადიან ამხანაგებს, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. მას პასუხი გასცეს ამხ. აიდარ აბაშიძემ და ხუსია თხილაიშვილმა და მოახსენეს, რომ ქართველ მაჰმადიანების შეგნებული. ნაწილი არასოდეს არ უღალატებს ქართველ დემოკრატიას და მუდამ მასთან ერთად ხელჩაკიდებული იქნება და დაიცავს რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებასო. აგრეთვე მგრძნობიარე სიტყვით მიმართეს ქართველ მაჰმადიან ამხანაგებს—ამხ. დ. ქარცივაძემ და მ. საბაშვილმა.

გუგულია მაღაკონისპირელი.

თფ. რკინის გზის დეპოს მოსამსახურეთა საერთო რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. ხსენებულ დეპოს მოსამსახურეთა პარ. წევრთა კრება გაიმართა 3 იანვარს პირველი ქვერაიონის კოლექტივის ხელმძღვანელობით. კრების მოწვევის მიზანი იყო პარტიული მუშაობის გაღრმავება, ახალი წევრების შეძენის, ჩვენი პარტიული გაზეთ-ლიტერატურის გავრცელების და პარტიული წევრების მომზადების შესახებ საკითხების გარჩევა. კოლექტივის მონდობილობით მომხსენებლათ იყო არჩეული ქართულათ ი. მანჯგალაძე და რუსულათ ვ. სიხარულიძე, რომლებმაც გარკვევით დაასაბუთეს თუ რა მოვალეობა აწევს ყველა პარტიის წევრს და როგორი კრიტიკული პასუხისაგებ მომენტში გვიხდება მუშაობა. მოხსენების შემდეგ კრებამ დიდი მწუხარება გამოსთქვა ჩვენი პარტიული გაზეთ „ბორბის“ შეჩერების გამო და ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში პარტიულ პრესის მნიშვნელობას, და რომელზედაც მთელი იმედებია დამყარებული, რომელიც გარკვეულ გზას გვიჩვენებს ყოველ კრიტიკულ მომენტში და კრიზაში უდგანა ყველა მოპირდაპირე პარტიებს, როდესაც რ. ს. დ. მ. პ. ნილაბ ქვეშ გამოდის, თუ შეიძლება ასე უწოდოთ პროვოკაციონული ფრაზეოლოგიებით გაჟღენთილი ბალშევიკების გაზეთი, რომელიც გავლენას ახდენს ზოგიერთ გულუბრყვილო მუშებზე, რომელნიც იზიარებენ მათ ანარქისტულ შეხედულებას, ამიტომ ყველა ჩვენგანი ვალდებულის ენერგიული მონაწილეობა მიიღოს ჩვენი პრესის გავრცელებაში და მასთან უკანასკნელ კაპეიკსაც არ დავიშურებთ მის ფონდის გასაძლიერებლათ, როგორც ხელის მოწერით, ისე წარმოდგენის დადგმით და ვთხოვთ როგორც საოლქო კომიტეტს, აგრეთვე ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და თანამოაზრეებს მიიღონ ყოველივე ზომები, რომ ამ მოკლე დროს იქნას განახლებული გაზეთი „ბორბა“ და ამით საშუალება მივცეთ როგორც პარტიის გაძლიერებას, ისე რუს ამხანაგებს არ მოესპოს სულიერი საზრდო.

ა. თხილავა.

სოფ. ასკანა (გურია). 20 დეკემბერს შესდგა ასკანის რაიონის ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება. კრებას დაესწრო გრ. კოპლატაძე და საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი, რომლებმაც გააკეთეს მოხსენება დღევანდელ მომენტის და დამფუძნებელი კრების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ ამხანაგებმა. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები: 1. დამფუძნებელი კრების წევრთა თათბირის გარეკვა უპასუხისმგებლო პირთა მიერ კრებას მიაჩნია მთელი დემოკრატიის უფლების ფეხქვეშ გათელვათ. ამიტომ კრება ამ უპასუხისმგებლო პირთა წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს აცხადებს და მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცდება დაიცვას დამფუძნებელი კრება, რომლის მოწვევას დაუყოვნებლივ მოითხოვს. 2) კრება აუცილებელ საჭიროებათ სცნობს წითელი გვარდიის შედგენას შეგნებულ ამხანაგებისაგან, რომლებიც დაიცავენ რევოლიუციას და თავისუფლებას და წინააღმდეგობას გაუწევენ ყველა ისეთ გამოსვლებს, რომელსაც შეუძლია შეასუსტოს რევოლიუცია და შესცვალოს მისი სწორი მსვლელობა. 3) რომ რევოლიუციის მიერ მოპოვებული უფლებები და თავისუფლება შეინარჩუნონ, კრება აუცილებელ საჭიროებათ სცნობს სახალხო შეიარაღებას, რომლის საშვალებით დაიცავს რევოლიუციას როგორც კონტრრევოლიუციისაგან, ისე სხვა მტრებისაგან.

პატრიკი თალაკვაძე.

მუშათა შორის

3 იანვარს მოხდა მზარეულთა დელეგატების კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ. კრებამ მოისმინა რა მოხსენება, თუ რა საფრთხეს უმზადებს დღევანდელი მომენტი ჩვენს კავშირს და საერთოთ დემოკრატიის კეთილდღეობას. კრება ადგენს: ა) ყველგან იქნეს ცხოვრებაში გატარებული 8 საათის სამუშაო დღე, ბ) სადაც საჭიროა მუშების მიღება უეჭველათ მიღებულ იქნეს კომისიის და ადგ. მუშების თანხმობით, გ) კრება მოუწოდებს ყველა ამხანაგებს, რომ იბრძოლონ ყოველივე ძალით ამის სისრულეში მოსაყვანათ, დ) კრება ადგენს, რომ დელეგატთა მორიგი კრება დაინიშნოს ყოველი თვის 15-ს და 28-ს, ვინც კრებას არ დაესწრება და ამის საპატიო მიზეზებს არ წამოაყენებს პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე.

დასასრულ კრება თავის გულისწყრომას უცხადებს იმ პირთ, რომლებმაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს კავშირი და შეძლება არ მისცეს მას დროზე შეეტანა ცენტ. კავშირში ხვედრი გადასახადი.

სალო.

ჯარისკაცთა წერილები

ქ. თავრიზი (სპარსეთი). ადგილობრივი მცხოვრებნი ორ ბანაკათ არიან დაყოფილნი. ერთი მხრით დგანან ხანები—ბეგები და ვაჭრები, მეორეს მხრით ღარიბ-ღატაკნი. ამ უკანასკნელთა მდგომარეობა ძალზე უნუგეშოა. მათთვის არ არის საჭმელი, სასმელი, სახლ-კარი; ნამდვილ ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებათ ცხოვრება. ქუჩაში ისე ვერ გაგივლია ადამიანს, რომ ათი ხუთმეტი დამშეული არ შემოგხვდეს. ყველა ერთ და იმავეს შემოგჩივის. ღვთის გულისათვის მომხედე შიმშილით ვკვდები, პური ან გროში მაჩუქეო. ასეთ მდგომარეობაში ვხვდებით არა მარტო მამაკაცებს, დედაკაცებსაც კი. ეს ის დედაკაცებია, რომლებიც უცხო ადამიანის დანახვაზე დასამალავათ გარბოდენ. დღეს კი შიმშილისაგან გამწარებული რას დაგიდევს თავის ადათწესებს, შიმშილმა არავითარი კანონი და ადათი არ იცის. ასეთ პირობებში უხდებათ დღე და ღამის ქუჩაში გატარება ამ სუსხიან ზამთარში. შიმშილისაგან დასუსტებული, ღონე-მიხდილი ბევრი ეცემა ქუჩაში, ბევრი კიდეც სამუდამოთ ეთხოვება წუთი სოფელს. ადგილობრივი მართველობა კი არავითარ ზომებს არ იღებს, ეუბნები „გოროდოვოის“ მიცვალებული მაინც მოათავსოს შესაფერ ადგილზე. რა ჩემი საქმეა, მოვა ჭირისუფალი და ის უპატრონებსო—მიიღებთ პასუხათ. და იმას კი არ ფიქრობენ, თუ ჭირისუფალი ყოლოდა ასე საცოდავათ არ დალევდა სულს. ამ სატახტო ქალაქში არც კი მოიპოვება ღარიბთათვის თავშესაფარი. არ არის მოწყობილი უფასო საექიმო დახმარება, არ არის საავადმყოფოები.

ჯარისკაცი მელქისედეკ ჩხაიძე.

პროვინცია

სურები (გურია). 31 დეკემბერს აქ გაიხსნა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ანდრო რამიშვილი, მდივნათ არ. ბარამიძე. ილაპარაკეს დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ.

ამხ. პიმენ რამიშვილი შეეხო საერთოდ რევოლიუციის მსვლელობას, დაახასიათა მისი მამოძრავებელი ძალები, უმთავრესად შეეხო მარჯვენა და მარცხენა ფრთებს და დაუხატა ხალხს ის საფრთხეები, რომელსაც გამოიწვევს ან ერთისა ან მეორე ფრთის გაძლიერება, და ის წმინდა სერიოზული მოვალეობა რევოლიუციონურ დემოკრატიისა, რომელმაც უნდა მოიგერიოს თავდასხმა, როგორც მარჯვნიდან ისე მარცხნიდან. აუხსნა ხალხს 25 ოქტომბრის ამბები და მისი დამღუპველი მნიშვნელობა, ვინაიდან ბალშევიკების მიერ პროლეტარიატის საბოლაოო მიზნის სადღეისო კითხვათ აღიარებით, მასსას მარჯვნით მიერეკება, და დემოკრატიულ რესპუბლიკას საფრთხეში აგდებენ, და სხვა. პროლეტარიატის ნაწილის ამბოხებამ ბალშევიკების მეთაურობით, ლენინ-ტროცკის მიერ სოციალიზმის დეკრეტების და მის ცხოვრებაში გატარების ცდამ, გამოიწვია სახელმწიფოში საშინელი ანარქია, ამან დაქსაქსა რუსეთი. თუ რამე იხსნის დღეს რუსეთს ამ უბედურებისაგან, იხსნის დამფუძნებელი კრება, რომელიც გამომხატველია მთელი ხალხის ნება-სურვილისა, და რომლის შექმნილი კანონები კანონიერ სავალდებულოც იქნება ხალხისთვის და თვით ხალხიც ხელს შეუწყობს მის ცხოვრებაში გატარებას. აი სწორეთ ეს უმაღლესი ორგანო რუსეთის სახელმწიფოისა, დამფუძნებელი კრება გარეკეს ლენინის ბრძანებით, რომელიც ნაცვლათ მთელი ხალხის ნება-სურვილისა გვაჩეჩებს თავის ნება-სურვილებს.

ამიტომ მოგიწოდებთ მიიღოთ საპროტესტო რეზოლიუცია ბალშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკის გამო და აგრეთვე ნდობა გამოუცხადოთ ამიერ კავკასიის კომისარიატს.

ამის შემდეგ თავმჯდომარე ანდრო რამიშვილმა განაცხადა, თუ ვინმე ბალშევიკთაგანი იყო გამოეთქვა თავისი აზრი, მაგრამ არავინ გამოვიდა.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ანტონ ალფაიძემ.

დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ რუსეთი დღეს, ბალშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლით, ანარქისტულ გზას დაადგა და ჩვენი დიდი რევოლიუცია დაღუპვის კარებზეა, მიგვაჩნია რა ყველა ამაებთან საბრძოლველათ უმაღლეს ძალათ და რევოლიუციის დამხსნელათ დამფუძნებელი კრება, მოვითხოვთ მის დროზე გახსნას და სასტიკ პროტესტს უცხადებთ ბალშევიკებს. აგრეთვე სრულ ნდობას ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომლის შექმნა გამოიწვია აუცილებლობამ და რომელიც არის შექმნილი ჩვენ მიერ ნდობით აღჭურვილ ორგანიზაციებისაგან. ვდებთ სიტყვას, რომ იარაღით ხელში დავიცავთ, როგორც დამფუძნებელ კრებას, ისე ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

წევენჩხალი.

სოფელი კარაურგანი. (ყარსის ოლქი). აქ არის საეტაპო პუნქტი, რომელსაც იცავს 31 საეტაპო ბატალიონის 1 როტა. გარდა 6 კაცისა ყველანი რუსები არიან. ამ „კამანდამ“ 6 დეკემბრიდან დაიწყო ლოთობა და შეიარაღებული ქუჩაში გამოსვლა და თოფების სროლა. ქუჩაში ქალს ვერ გაუვლია, მთვრალი ჯარისკაცები თავს ესხმიან და ძალას ხმარობენ. ადგილობრივი მცხოვრები ბერძნები თავზარ დაცემულნი არიან და არ იციან რა ქნან.

12 დეკემბერს შეიკრიბენ ჯარისკაცები და იქონიეს მსჯელობა, რომ გაეხსნათ ბათალიონის ნივთების საწყობი და გაეტანათ ტანისამოსები და ფეხსაცმელები. დადგენილება 13 დეკემბერს სისრულეში მოიყვანეს. გახსნეს საწყობი და გამოიტანეს ყველაფერი და გაყიდეს გამვლელ ხალხზე,—აღებული ფული გაინაწილა 50 კაცმა. ამას კიდევ არ ჯერდებიან ეს ვაჟბატონები და გაიძახიან, რომ კასაში არის 56,000 მანეთი. ის უნდა გამოვიტანოთ და გავინაწილოთო. აგრეთვე, თუ კი რამე მოეძებნება საეტაპო პუნქტს, ისიც უნდა გავყიდოთო და შემდეგ წავალთ რუსეთშიო, რადგანაც ეს ყოველივე რუსების შეძენილია და ჩვენვე გვეკუთვნისო. აგრეთვე გაიძახიან: კავკასია გამოეყო რუსეთს და ამის გამო უშვერი სიტყვებით და მუქარით იხსენიებენ ქართველებს და სომხებს.

ამ შემთხვევის გამო აქაური მცხოვრებნი შეუდგენ ნაციონალური რაზმის შედგენას ადგილობრივი კომისარიატის ხელმძღვანელობით.

გ. ტალიკაძე.

ქ. ზუგდიდი. 25 დეკემბერს ქ. ზუგდიდის ახლოს, თოთხმეტი შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა ოჩამჩირე-სოხუმიდან მომავალ დილიჟნებს, ასტყდა სროლა. გაიგონეს თუ არა სროლა ადგილობრივმა მაზრის კომისარმა მყისვე აფრინა ეტლებით რამოდენიმე მილიციონერი, ხუბუტიას ხელმძღვანელობით. მაზრის კომისარი ლატარიაც დაედევნა დანიშნულ ადგილამდე, მისცა მათ განკარგულება და თვითონ საჩქაროთ დაუბრუნდა ქალაქს და შეუდგა ქალაქის მილიციონერების და წითელი გვარდიის დახმარებით ქალაქის დაცვას, ფოსტას და ბანკს მცველები დაუყენა. მილიციონერები დაეწიენ ყაჩაღებს. გაძარცვისაგან გადაარჩინეს სამი დილიჟანი, და სროლით გაედევნენ ყაჩაღებს, სროლის ხმაზე გამოვიდენ სოფლების მილიციონრები და რაიონის კომისარი ზარქუას ხელმძღვანელობით. ყაჩაღებს გზები შეუკრეს, როდესაც ყაჩაღებმა სოფლებს თავი ვერ შეაფარეს, დარჩენ ტრიალ მინდორზე ეგრედ წოდებულ „ჯუღეჯიანის ეწერზე“, სადაც თხრილებში ჩასაფრდენ. გაიმართა ბრძოლა. სროლამ ორი-სამი საათი გასტანა, მოკლეს ოთხი ყაჩაღი: სოფელ კახათას მცხოვრები მეთო პახუს ძე გუგუჩია 25 წლისა, კალი შარვანის ძე დარასელია 22 წლ. იონა ნოჩოს ძე აკობია 30 წლ. და სოფელ კოკის მცხოვრები იპოლიტე ივანეს ძე ქვარაია 35 წლ. დანარჩენ ყაჩაღებმა ისარგებლეს სიბნელით და მიიმალენ.

მეორე დღეს დილით 11 საათზე, მოვიდენ ადგილობრივი მაზრის კომისარი ლატარია და გლეხთა სამაზრო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. კალანდარიშვილი. პირველმა ხალხს მოსთხოვა დანარჩენი ათი ყაჩაღი, ხალხმა იქვე მისცა ორი კაცი, დანარჩენებიც იქნენ დასახელებული, რომლებთა რიცხვში დაჭრილებიც აღმოჩნდენ. კალანდარიშვილმა განუმარტა ხალხს გლეხთა საბჭოს დადგენილება, რომლითაც უნდა მოახდინონ ყაჩაღების ქონების კონფისკაცია და გადასცენ ყაჩაღთა წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის გასაძლიერებლათ და მათი მხრივ დაზარალებულთა სასარგებლოთ. ხალხმა ყურადღებით მოისმინა და სიხარულით მიიღო ეს დადგენილება. მკვდრები იქვე დამარხეს და მშობლებს წაღების ნება არ მისცეს.

26 დეკემბერს აქვე ქ. ზუგდიდში დაატუსაღეს დათიკო ხვიტია, რომელსაც ხონზე თავდასხმაში მონაწილეობის მიღებას აბრალებენ.

ხანჯან.

ქართული უნივერსიტეტი

თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.

ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифлис, зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: პ. მელიქიშვილი.
(15—8) ივ. ჯავახიშვილი.

მსწ რაფლ-მბეჭდავი სტამბარეხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.